საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდლუბობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 15 მარტი. 2019 წ. №52 (8718) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

გამოუსწორებელი შეცდომები და გაფლანგული ფული კულტურული მემკვიდრეობის სფეროში

4

⊙ ვაი, თქვენს პატრონს!

სოკრატ უგულავას ფილოსოფიური ბჟუტური

სოკრატეს ფილოსოფიურ სკოლაში მეცადინეობის თავისებური სტილი იყო დამკვიდრებული: მასწავლებელი და მოწაფეები ხეივანში სეირნობდნენ და ფილოსოფიურ თემებზე საუბრობდნენ.

რამდენად უფრო წარმატებული იყო მეცადინეობის ეს მეთოდი დღევანდელზე – აუდიტორიულზე, მთლად დაზუსტებული არ არის, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ათენის ფილოსოფიური სკოლა ერთობ სახელგანსმენილია ისტორიაში, დღევანდელი სკოლები კი დაზუსტებით თვით ამ სკოლების მსმენელებმაც კი არ იციან.

ვერ გეტყვით, გიგი უგულავამ ფილოსოფიური ცოდნა სად და როგორ მიიღო: სადმე მოსეირნე აკადემიაში თუ მატროსოვის მჯდომარე უნივერსიტეტში, მაგრამ ფაქტია, რომ პირს გააღებს თუ არა, მაშინვე იმ ნეტარხსენებულ სოკრატეს ემსგავსება.

აი, ოთხშაბათ საღამოს „კავკასიის“ ეკრანზე ვიხილეთ ბატონი გიგი. რა სიბრძნე, რა ტერმინები, რა მიგნებები, რა მაღალი განსჯა!

დაიწყო იმით, რომ პირდაპირ გენიოსის ალღოთი დაგვაკვალიანა „ქართული ოცნების“ დღევანდელობის არსში: გვიანი აბსოლუტიზმიო. გვიანი უთუოდ იმიტომ, რომ განსხვავდება ლუი XIV ჯანსაღი აბსოლუტიზმისგან და ჰგავს ლუი XVI უძალო აბსოლუტიზმის, ანუ თუ ორი ლუის ალეგორიას დღევანდელობაში გადმოვიტანთ, სააკაშვილის კუნთმაგარი აბსოლუტიზმი თურმე გადასულა ივანიშვილის გვიან აბსოლუტიზმში, როცა „ყველაფერი ლპება“, როცა უვადოდ ნიშნავენ მურუსიძეს, ჩინჩალაძეს და სხვებს, როცა ივანიშვილიზმი ნიშნავს ნეოშევარდნაძიზმს.

აქ უგულავამ მოიყვანა კიდევ ერთი ფილოსოფიური შედარება: ნაციონალური მოძრაობა იყო ძლიერი ხელმძღვანელი და მის გარშემო შემოკრებილი ძლიერი გუნდი, ახლა „ოცნების“ ხელისუფლებაში არის კვლავ ძლიერი ხელმძღვანელი, ოღონდ – სუსტი მთავრობაო.

აქ ბატონ გიგის არაფერი უთქვამს სააკაშვილის პატრიციულ, არისტოკრატიულ, ხუთოსან მთავრობაზე, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იგულისხმებოდა განსაკუთრებით თანამოსაკნე ახალაიას, მერაბიშვილისა და სხვათა გვერდით.

იმათ გახალისებულმა რომ აქამდე სულ ასე შეუფერხებლად დაალაგა იზმები და კანონზომიერებანი, დღევანდელი ოროსანი „ქართული ოცნება“ დაჰყო პროტოქოცებად, პალეოქოცებად და ნეოქოცებად და უაპელაციოდ დაასკვნა: პალეო და პროტოქოცებს ჭამის გარდა არაფერი აინტერესებთო, ჰა და ჰა, კიდევ ნეოქოცები შეიძლება ჩაითვალონ ადამიანებად თორემ დანარჩენმა მოგჭამა ჭირიო.

საბოლოოდ კი დასკვნა: ივანიშვილმა 2020 წლის არჩევნები რომც მოიგოს, 2024-ში აუცილებლად წააგებსო.

პირი არ დაგეწვას, სოკრატ!

სანდრო ალექსიძე

რასმუსენი: საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ხელს უშლის რუსეთის მიერ ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია

ამ დროისთვის, საქართველოს ნატოში გაწევრიანების ხელისშემშლელ პირობად რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების ოკუპაცია რჩება, – განაცხადა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა. მისი თქმით, უნდა შედგეს შეთანხმება, როგორ განიხილავს ნატო ისეთ ქვეყნებს, რომელთა ტერიტორიებიც ოკუპირებულია.

„2008 წელს ბუქარესტის სამიტზე ჩვენ ნატოში გადავწყვიტეთ, რომ საჭირო კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ საქართველო და უკრაინა გახდებიან ალიანსის წევრები. მას შემდეგ შეიქმნა სპეციალური ნატო-საქართველოს კომისია, მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი პროგრესი. მე იმედი მაქვს რომ საქართველოს ვნახავ ნატოს წევრად, თუმცა ვთვლი, რომ ამ დროისთვის რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების ოკუპაცია ხელისშემშლელ პირობად რჩება. ჩვენ უნდა შევთანხმდეთ, თუ როგორ განვიხილავთ ქვეყნებს, რომლის ტერიტორიებიც ოკუპირებულია“, – აცხადებს რასმუსენი.

კონფლიქტი მართლმადიდებლობაში და ქართული ეკლესიის პოზიცია

5

ჭეშმარიტად სახალხო

6

„სიმღერაა მთელი ჩემი ქონება...“

ჰენრი ფორდი ფულის შესახებ

7



დიდი პოტენციალი გვაქვს, კავკასიას დავუბრუნოთ ის დანიშნულება, რაც მას ისტორიულად ჰქონდა!

საქართველოს **პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის პატივსაცემად, სომხეთის პრეზიდენტის არმენ სარქისიანის სახელით, ერევანში ოფიციალური ვახშამი გაიმართა.**

საქართველოს და სომხეთის პრეზიდენტებმა აღნიშნეს, რომ სტუმართმოყვარეობასა და მეგობრობას ორივე ქვეყნის ხალხები განსაკუთრებული სითბოთი და პატივისცემით ეპყრობიან, რაც საერთო ღირებულებებზე მიანიშნებს.

„ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ისტორია, პირველ რიგში, მითოლოგიამ შემოგვინახა - ქართლოსისა და ჰაოსის ამბით, და ეს ნიშანდობლივია. ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევრებიც თითქმის ერთ პერიოდში გავხდით. ასევე ერთდროულად — 1918 წელს — გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა; პრაქტიკულად, ერთდროულად დავკარგეთ და შემდეგ, პრაქტიკულად, ერთდროულადვე აღვადგინეთ იგი. ქართველებსა და სომხებს ის ღირებულებები გვაერთიანებს, რაზეც ისტორიულად იდგა კავკასია. კულტურა კი არის ის სფერო, სადაც ჩვენი სიახლოვე განსაკუთრებით კარგად ჩანს. საიათნოვას, არამ ხაჩატურიანის, ფარაჯანოვის, შარლ აზნავურის, გივი შაჰნაზარისა და კიდევ არაერთი დიდი ადამიანის სახელით ვამაყობთ ქართველებიც და სომხებიც. მინდა, მოგახსენოთ, რომ წელს საქართველოში სომეხი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ჰოვანეს თუმანიანისა და სომეხი კომპოზიტორის კომიტასის 150 წლის იუბილე აღინიშნება. თუმანიანის შემოქმედების მნიშვნელობიდან გამომდინარე, შემოდგომაზე დიდ საიუბილეო საღამოს გავმართავთ. ვფიქრობ, რომ კულტურული ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად გაღრმავების გარდა, გვჭირდება ზოგადად, თანამშრომლობის სპექტრის გაფართოება. ჩვენ ძალიან დიდი პოტენციალი გვაქვს საიმისოდ, რომ ვიყოთ ძლიერი, განვითარებული ქვეყნები და კავკასიას დავუბრუნოთ ის დანიშნულება, რაც მას ისტორიულად ჰქონდა. ერთმანეთის მხარდაჭერა ამ გზაზე დიდ წარმატებებს მოგვიტანს“, — აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა ოფიციალურ ვახშამზე.

...აქ არ არის ის კეთილგანწყობა, რაც უნდა არსებობდეს

ძალიან **სამწუხაროა, როცა მთიანი ყარაბაღიდან დელეგაციები ჩამოდიან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და თავად აყენებენ საკითხს, თითქოსდა ეს არის ერთი და იგივე ტიპის კონფლიქტები და რაღაც სიმეტრიას ეძებენ,** — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ერევანში, სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეაზე პრეზიდენტ არარატ მირზოიანთან შეხვედრაზე განაცხადა.

მისი თქმით, ეს კონფლიქტები, ალბათ, ჩვენი რეგიონისთვის არის ის, რაც ყველაზე მეტად აფერხებს ჩვენს ერთობლივ წინსვლას.

„როგორც იცით, საქართველოში არის ორი ოკუპირებული ტერიტორია და ჩვენთვის, თუ ვსაუბრობთ ქვეყნის ინტერესებზე, მთავარი და ერთადერთი ინტერესია, რომ ეს ჩვენი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა იყოს აღიარებული, და აღიარებული არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ ფაქტობრივად.“

აფხაზეთში სომხური ეკლესიების რუსეთის მიტროპოლიტის დაქვემდებარებაში ყოფნა ჩვენი ტერიტორიული სუვერენობის ძალიან დიდი დარღვევაა

საქართველოს **პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სომხეთის ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტთან არარატ მირზოიანთან შეხვედრისას აფხაზეთში სომხური ეკლესიების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ სომხური ეკლესიების რუსეთის მიტროპოლიტის დაქვემდებარებაში ყოფნა, კანონის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიული სუვერენობის ძალიან დიდი დარღვევაა.**

სალომე ზურაბიშვილმა არარატ მირზოიანთან შეხვედრისას ასევე აღნიშნა, რომ ძალიან სამწუხაროა, როდესაც მთიანი ყარაბაღიდან დელეგაციები ჩადიან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ რეგიონებში.

„ამ მხრივ ძალიან სამწუხაროა, როცა მთიანი ყარაბაღიდან დელეგაციები ჩამოდიან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და თავად აყენებენ საკითხს, თითქოსდა ეს არის ერთიდაიგივე ტიპის კონფლიქტები და რაღაც სიმეტრიას ეძებენ, ეს ჩვენთვის ძალიან სამწუხარო და მტკივნეულია. ჩვენ ვთვლით, რომ აქ არ არის ის კეთილგანწყობა, რაც ჩვენი ქვეყნის მიმართ უნდა არსებობდეს“, — აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი ტოკიოში იაპონიის წარმომადგენელთა პალატის დეპუტატებს შეხვდა

საქართველო-იაპონიის **პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და სხვადასხვა, მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძისა და იაპონიის წარმომადგენელთა პალატის დეპუტატის — საქართველო-იაპონიის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის თავჯდომარე იჩირო აისავას შეხვედრის მთავარი თემები. ინფორმაციას პრემიერის პრესსამსახური ავრცელებს.**

ყურადღება გამახვილდა განათლების სფეროში ერთობლივი პროექტების განხორციელებასა და იაპონიის გამოცდილების გაზიარებაზე.

ასევე აღინიშნა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავების კუთხით და ტურიზმის სფეროში არსებული პოტენციალი. იაპონური მხარის შეფასებით, ამ პროცესს ხელს შეუწყობს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი იაპონიაში და ერთობლივი ბიზნესფორუმი, რომელსაც ტოკიო მასპინძლობს. ასევე გამოითქვა ქართული ქვევრის ღვინით დაინტერესება. ამ კონტექსტში ხაზი გაესვა გამოფენის — „საქართველო — ღვინის სამშობლო“ მნიშვნელობას, რომელიც ქართული ღვინის, ისტორიისა და კულტურის შესახებ იაპონიაში ცნობადობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

გიორგი გახარიამ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მიმდინარე და დასრულებული პროექტები დაათვალიერა

გიორგი გახარია **თავდაპირველად სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს რეგიონალურ ბაზას ეწვია, ახლადგახსნილი ცხრაწყაროს საგუშაგო დაათვალიერა და თანამშრომლებს გაესაუბრა.**

დაცვითი ღონისძიებების მეტად ეფექტიანად განხორციელებისა და პირადი შემადგენლობის პირობების გაუმჯობესების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების პროექტის ფარგლებში, ცხრაწყაროს მონაკვეთზე ახალი, კეთილმოწყობილი კაპიტალური ბაზა აშენდა, რაც ყაზარმას, სამორიგეოს, სასადილოს, ასევე, თოვლმავლებისა და კვადროციკლების ავტოფარეხს მოიცავს.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული მილსადენების საქართველოს მონაკვეთის ნაწილი წალკა-ტაბაწყური-ბაკურიანის ყველაზე რთულ დასაცავ პერიმეტრზე გადის. ცხრაწყაროს უღელტეხილზე მდებარე საგუშაგო ზღვის დონიდან 2450 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, სადაც ტემპერატურა ხშირ შემთხვევაში -10-დან -35 გრადუსამდე ეცემა.



პროექტის ფარგლებში ბაზაზე შეიცალა ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემაც, კერძოდ, დამონტაჟდა „ბულეტ“ ტიპის ანალიტიკური ფუნქციის მქონე სტატიკური კამერები, რომლებიც აღნიშნული მონაკვეთის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე შეირჩა. ბაზა ასევე აღიჭურვა მოძრავი ვიდეოკამერით, რომელიც ექსტრემალურ პირობებში შეუფერხებლად მუშაობს.

ცხრაწყაროს საგუშაგოს შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრმა ბაკურიანში საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების პროექტის ფარგლებში მშენებარე პოლიციის შენობა დაათვალიერა. ბაკურიანის ახალი პოლიცია და დროებითი მოთავსების იზოლატორი ზაფხულში გაიხსნება. მზარდი ტურისტული ნაკადების გათვალისწინებით, ახალ შენობაში ადგილობრივი განყოფილების თანამშრომლების გარდა, სეზონურად საპატრულო პოლიციის სპეციალური დანაყოფებიც განთავსდებიან.

გიორგი გახარიამ ბორჯომში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მშენებარე ინფრასტრუქტურაც მოინახულა, სადაც ახალი სახანძროს შენობის მშენებლობა წლის ბოლომდე დასრულდება და 29 მანქანით, მთლიანად ბორჯომს მოემსახურება.

შინაგან საქმეთა მინისტრი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პოლიციის სამმართველოებსაც ესტუმრა, მათ შორის ახალქალაქის განახლებული პოლიცია, დროებითი მოთავსების იზოლატორი და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ასპინძის ბაზაც დაათვალიერა.

გიორგი გახარიამ თანამშრომლებს სისტემური განახლების ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები პირადად გააცნო.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2018 წელს, სამცხე ჯავახეთის რეგიონს სწორედ საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების პროექტის ფარგლებში, 20-მდე მაღალი გამავლობის, რთულ რელიეფურ პირობებზე მორგებული ავტომობილი და 100 სამხრე კამერა გადაეცა.

საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების პარალელურად, შინაგან საქმეთა სამინისტროში აქტიურად მიმდინარეობს შინაარსობრივი რეფორმები და პოლიციელთა კვალიფიკაციის ამაღლება. შეიცვალა სამსახურში მიღების წესი და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია გახდა სისტემაში მოხვედრის ერთადერთი გზა, რაც იმას ნიშნავს რომ საპოლიციო საქმიანობას მხოლოდ სათანადო კვალიფიკაციის და მომზადებული კადრები განახორციელებენ. ამჟამად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 24 ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსია გამოცხადებული.

„გაზპრომთან“ ხელშეკრულება დასრულდა, რა მიიღო საქართველომ?

საქართველოს **მთავრობამ „გაზპრომთან“ ახალი ხელშეკრულება ორი წლის ვადით გააფორმა. მთავრობაში ამტკიცებენ, რომ პირობები წინა კონტრაქტთან შედარებით გაუმჯობესებულია. ამით, შესაძლოა, კომერციულმა სექტორმა, რომელიც ბუნებრივი გაზის მომხმარებელია, გარკვეული შეღავათი მიიღოს.**

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ნათია თურნავას განმარტებით, „გაზპრომთან“ ახალი კონტრაქტის თანახმად, კერძო სექტორისთვის რუსული გაზი გაიაფდა. ბუნებრივ გაზზე ფასის შემცირება, ამ პროცესში ერთ-ერთი მიღწევაა.

„ჩვენი ბაზრის უდიდესი ნაწილი არის სტრატეგიული, სოციალური სექტორი – მოსახლეობა და თბოსადგურები, რომლებიც ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ. ეს სექტორი მომარაგდება აზერბაიჯანული გაზით და ჩვენ ამის სრული რესურსი გაგვაჩნია. რაც შეეხება კერძო სექტორს, ბიზნესებს, წარმოებას, მცირე ბიზნესს, გაზგასამართ სადგურს, პურის საცხობს, აქ ჩნდება ახალი კონკურენტული ალტერნატივა, მაგრამ ამას დაარეგულირებს თვითონ კონკურენტული ბაზარი. საუბარი იმაზე, რომ რუსული გაზი მასობრივად შემოვა საქართველოში, გამორიცხულია“, – აღნიშნა თურნავამ.

მას ახალი ხელშეკრულების პირობები არ დაუზუსტებია. **„ეს არის კომერციული საიდუმლოება და ამ ხელშეკრულებას ვაგრძელებთ. დეტალებზე ვერ ვისაუბრებთ და საიდუმლოების რეჟიმიდან გამომდინარე“,** – დასძინა თურნავამ.

ახალი კონტრაქტი მხარეებს შორის ძალაში ორი წლის ვადით, 2019 წლის 1 თებერვლის თარიღით შევიდა და ზედმიწევნით დაცულია პრინციპები, რომლითაც „გაზპრომთან“ მოლაპარაკების დროს საქართველო ხელმძღვანელობდა.

ახალი ხელშეკრულების გაფორმებას გამოეხმაურნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. თბილისის მერმა **კახა კალაძემ** აღნიშნა, რომ „გაზპრომთან“ ახალ პირობებზე შეთანხმება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ატარებს. რთული მოლაპარაკებების მიუხედავად, საქართველოს ენერგეტიკის სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღებოდა.

„როდესაც ენერგეტიკის მინისტრი ვიყავი, იმ დროსაც ძალიან რთული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, თუმცა ყოველთვის ვიღებდით ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკის სტაბილურობისთვის, განვითარებისთვისა და წინსვლისთვის“, – განაცხადა კალაძემ.

რუსულ გიგანტთან კონტრაქტი გაუმჯობესების საკითხს გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძეც. **„მინდა, გავახმოვანო პრინციპები, რითაც ეკონომიკის სამინისტრო ხელმძღვანელობდა მოლაპარაკების წარმართვისას. პირველი, რა თქმა უნდა, ეს გახლავთ ჩვენი ენერგოდამოუკიდებლობა და მეორე პრინციპი გახლდათ, რომ ჩვენი პოზიციები გაუმჯობესებულიყო ამ კონტრაქტში“,** – განაცხადა მამუკა ბახტაძემ და დასძინა, რომ მოლაპარაკებები ორივე პრინციპის სრული დაცვით დასრულდა.

დანიელ ბექაური

ტაჯიკეთის ავტოტრანსპორტითაც დავუკავშირდებით

„ტაჯიკური **მხარე დაინტერესებულია საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით, რისთვისაც მნიშვნელოვანია სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესება სხვადასხვა მიმართულებით“** – ამის შესახებ ტაჯიკეთის რესპუბლიკის

ტრანსპორტის სამინისტროს წარმომადგენლებმა საქართველოში ვიზიტის დროს ქართველ კოლეგებთან განაცხადეს. ტაჯიკეთის დელეგაციასთან გამართულ შეხვედრებში საქართველოს მხრიდან ეკონომიკის მინისტრის მოადგილე აკაკი საღირაშვილი, ასევე სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის და სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

მხარეებმა ძირითადად განიხილეს ტაჯიკური მხარის დაინტერესება საქართველოს გავლით სატრანზიტო გადაზიდვების განხორციელების შესახებ. როგორც აღინიშნა, ტაჯიკური მხარე დაინტერესებულია მომავალში უფრო აქტიურად გამოიყენოს საქართველოს სატრანსპორტო შესაძლებლობები, მათ შორის საქართველოს ნავსადგურები. დელეგაციამ ვიზიტის ფარგლებში ასევე მოინახულა თბილისის გაფორმების ეკონომიკური ზონა და დაინტერესება გამოხატა, გაიზიაროს საქართველოს გამოცდილება საბაჟო მიმართულებით.

წყალი სუფთაა, დაიჯერეთ!

სურსათის **ეროვნული სააგენტო სასმელი წყლის მონიტორინგს მუდმივ რეჟიმში ახორციელებს და წყლის კვლევების დროს აღმოჩენილი დარღვევები სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.**

სააგენტოს ინფორმაციით, ყოველწლიურად იზრდება აღებული ნიმუშების რაოდენობა და კონტროლის მასშტაბი. თუ 2010 წლისთვის რამდენიმე ათეული ნიმუშის აღება ხდებოდა, დღეს ეს უკვე რეგულარული გეგმის ნაწილია და 500-ზე მეტი ნიმუშს ითვალისწინებს.

„ტენდენცია ერთმნიშვნელოვანია, თბილისში სასმელი წყლის ხარისხი სრულად შეესაბამება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნებს და დარღვევები არ ფიქსირდება. გაუმჯობესებულია სიტუაცია დიდ ქალაქებში – ქუთაისში, რუსთავში, ფოთსა და ბათუმში. გამოწვევად რჩება მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება რეგიონებში. სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზით, შეუსაბამობის შემთხვევების უმრავლესობა, ძირითადად, სოფლის მცირემასშტაბიანი წყალსადენების მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების დარღვევასთან არის დაკავშირებული, ვინაიდან მოსახლეობის მომარაგება მცირე ინფრასტრუქტურული წყაროებიდან ხდება, რაც, ხშირ შემთხვევაში, ვერ პასუხობს ტექნიკურ მოთხოვნებს. ამ მიმართულებით დაწყებულია მუშაობა. წყლის ხარისხი განსაკუთრებულ პრიორიტეტადაა გამოცხადებული და პრემიერ-მინისტრის მიერ კონტროლზეა აყვანილი.

სასმელ წყალთან დაკავშირებით, პრობლემის იდენტიფიცირებისთანავე ინფორმაცია როგორც მუნიციპალიტეტებს, ასევე რწმუნებულ-გუბერნატორის აპარატს და სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის მმართველ კომპანიებს ეგზავნება“, – აღნიშნულია სააგენტოს განცხადებაში.

ავჭალაში მზა საკვების მწარმოებელი საწარმო აშენდება

ავჭალაში, სამრეწველო ზონაში, მზა საკვების მწარმოებელი საწარმო აშენდება, რისთვისაც 1 200 000 ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდება.

ახალი საწარმოს ასაშენებლად შპს „მზარეულს“ სახელმწიფოსგან ავჭალის გზატკეცილის №43-ში მდებარე 8345 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები ელექტრონული აუქციონის გზით 802 000 ლარად გადაეცა.

დაცული ადგილწარმოშობის დასახელებებს ღვინო „ბოლნისი“ დაემატა

საქართველოს **ადგილწარმოშობის დასახელებების რეესტრში ღვინო „ბოლნისი“ დარეგისტრირდა. ამ დრომდე საქართველოში დარეგისტრირებული იყო ქართული ღვინის ადგილწარმოშობის 19 დასახელება: ხვანჭკარა, მუკუზანი, წინანდალი, ახაშენი, გურჯაანი, ქინძმარაული, მანავი, კახეთი, ნაფარეული, თელიანი, ატენი, სვირი, ვაზისუბანი, კარდენახი, ტიბაანი, ტვიში, ყვარელი, კოტეხი და ხაშმის საფერავი.**

აღნიშნული გადაწყვეტილება მიუთითებს ქართული ვაზის ჯიშებისა და მათგან წარმოებული ღვინოების დიდ პოტენციალზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდის კუთხით. ღვინის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური დახმარებით, ბოლნისის მეღვინეთა გაერთიანებამ „ბოლნური ღვინო“ შეიმუშავა ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის „ბოლნისი“ წარმოების სპეციფიკაცია და მისი დარეგისტრირების მოთხოვნით ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“ მიმართა.

„ბოლნისი“ – მშრალი ღვინოა, რომელიც შეიძლება იყოს თეთრი, ქარვისფერი, წითელი და ვარდისფერი. ბოლნისის მიკროზონა მდებარეობს ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში. ბოლნისის მიკროზონის გეოგრაფიული მდებარეობა, რეგიონისთვის დამახასიათებელი კლიმატი – ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული, ატმოსფერული ნალექების ზომიერი რაოდენობა, ნიადაგების მრავალფეროვნება, რქაწითელის, ჩინურის, გორული მწვანეს, საფერავის, თავკვერის, შავკაპიტოს, ასურეთული შავის ჯიშების ამ ზონისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მახასიათებლები და მევენახეობა-მეღვინეობის ადგილობრივი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია განაპირობებს ღვინო „ბოლნისის“ განუმეორებელ, მხოლოდ ამ ღვინისათვის დამახასიათებელ ორგანოლეპტიკურ თვისებებს.

წყალარინების ცენტრალური ქსელი ბერთუბანში

გლდანის **რაიონის გამგეობამ ბერთუბნის დასახლებაში წყალარინების ცენტრალური ქსელის მოწყობის სამუშაოები დაიწყო. პროექტის შედეგად, ბერთუბნის დასახლებაში – წყაროთუბნის ქუჩის მონაკვეთზე, დრანდის, ფარსმან ქველისა და ჯაბიძის ქუჩაზე დაახლოებით, 3 000 გრძივ მეტრზე წყალარინების ცენტრალური ქსელი მოეწყობა.**

მიმდინარე სამუშაოებს გლდანის რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ ოთარ გრიგოლიასთან ერთად გაეცნო.

„გამგეობა სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოს, მათ შორის, ბერთუბანში წყალარინების ცენტრალური ქსელის მოწყობას ახორციელებს. აღნიშნულ დასახლებას წყალარინების ქსელი აქამდე არ ჰქონია, რაც მოსახლეობას მნიშვნელოვან დისკომფორტს უქმნიდა. პროექტის განხორციელების შედეგად, აღნიშნული პრობლემა მოგვარდება“, – განაცხადა ბექა მიქაუტაძემ. სამუშაოები, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული შპს B&B ახორციელებს, მაისში დასრულდება. წყალარინების ცენტრალური ქსელის მოწყობისთვის გლდანის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 597 695 ლარი გამოიყოფა.

გამოუსწორებელი შეცდომები და გაფლანგული ფული

კულტურული მემკვიდრეობის სფეროში

საქართველოში სულ რომელთაგან მეოთხედი თბილისშია თავმოყრილი. ძველი უბნების და ნაგებობების რეაბილიტაცია-რესტავრაციისას ხშირად ჩნდება კითხვები, რამდენად სწორად ხდება მათი აღდგენა და შეკეთება, უნარჩუნდება თუ არა იერსახე მნიშვნელოვან შენობებს და ხომ არ ვკარგავთ მშენებლობის პარალელურად ისეთ მნიშვნელოვან რამეს, რასაც ველარ დავიბრუნებთ.

რამდენიმე ფაქტი ზოგადი სურათისთვის

თბილისის ისტორიული ზონა მთელი ქალაქის ტერიტორიის მხოლოდ 4%-ს შეადგენს, რომელშიც **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 1768 ობიექტს აქვს.**

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას თბილისში თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ,

● დაფუძნების დღიდან, ჯამში, თბილისის განვითარების **ფონდმა საკუთარი დამფუძნებლისგან 370,278,546 ლარი მიიღო და განკარგა;** ფონდის მსხვილ პროექტებს შორის არის აღმაშენებლის გამზირის, კალაუბნის, ღვინის აღმართის, გუდიაშვილისა და ორბელიანის მოედნების რეაბილიტაცია, ისტორიული სადარბაზოების მოვლა, მუზეუმების აღდგენა.

● ფონდის აპარატისთვის გასული 3 წლის განმავლობაში, 2015-2018 წლებში 10,827,774 ლარი გამოიყო. აქედან 6,880,922 ლარი თანამშრომლების ხელფასებზე დაიხარჯა.

თბილისის განვითარების ფონდის **მთლიანი შესყიდვების 75% გამარტივებული შესყიდვის საშუალებით არის განხორციელებული;** შესყიდვების ეს ფორმა კორუფციის მაღალ რისკს შეიცავს.

ფონდის მიერ ტენდერის მეშვეობით საანგარიშო პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ 31,623,066 ლარს მიაღწია (პრეისკურანტი - 145,365 ლარი).14 ჯამში გამოცხადდა 191 ტენდერი.

● სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ფონდის აუდიტი დაფუძნების დღიდან ამ დრომდე არ ჩაუტარებია.

● ფონდმა მისთვის **სასურველი ინფორმაციის გავრცელებისთვის მხოლოდ 2018 წელს სულ მცირე, 100 000 ლარი დახარჯა.**

თბილისის განვითარების ფონდის საქმიანობა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და თბილისის ჰამქარმა შეისწავლეს. მათ მიერ მომზადებულ კვლევაში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც ძირითადი ამოცანა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და აღდგენაა, საკმაოდ გაუმჭვირვალე და არაანგარიშვალდებული ორგანიზაციაა, რომლის პროექტებიც ხშირად არაკომპეტენტურად ხორციელდება.

ძვირადღირებული პროექტები, რომლებიც არ ეხება კულტურული მემკვიდრეობის დაცვას

თბილისის მერიას უფლება აქვს, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ წინასწარ შეატყობინოს სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ, რათა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ უზრუნველყოს წყლისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ რატომ ჩაიწერა ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის წესდებაში 2010 წელს, რომ ფონდის ერთ-ერთი მიზანია ქ. თბილისში წყალსადენ-კანალიზაციის რეაბილიტაციის მიზნით სტრატეგიების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა ან/და შესრულების კონტროლი.

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, ლოკომოტივის სტადიონი და მიწის ნაკვეთი, სადაც ის მდებარეობს, ასევე, ამ მიწაზე განთავსებული სხვა შენობა-ნაგებობები სახელმწიფოს საკუთრებაა და 30 წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული აქვს ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. შესაბამისად, მასზე ზრუნვის ვალდებულებაც მას გაჩნია.

2015 წელს ფონდმა თითქმის ორი მილიონი დახარჯა ეკლესიების მშენებლობებსა და სარემონტო სამუშაოებში.

მიმდინარე ძვირადღირებული პროექტი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვას შეეხება

თბილისის განვითარების ფონდის ერთ-ერთი მსხვილი პროექტი ორბელიანის მოედნის რეაბილიტაციაა, რომლის ბიუჯეტადაც 65 მილიონი ლარია განსაზღვრული.

მიმდინარე სამუშაოების მიმართ არსებობს შემდეგი შენიშვნები, რომელსაც ასევე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიშში ვხვდებით.

● რესტავრაცია-რეაბილიტაციისთვის შერჩეული 24 ობიექტიდან **სრულად განადგურდა 8 შენობა; დიდი ნაწილი მონგრეული აქვს 4 ობიექტს;**

● ნაწილობრივ ან/და სრულად **დანგრეულ შენობათა შორის რამდენიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონეა;**

● იმ შენობებზე, რომლებიც ნგრევას გადაურჩა **რეაბილიტაციის სამუშაო უხარისხოდ, მნიშვნელოვანი დანაკარგებითა და დარღვევებით მიმდინარეობს;**

● რეაბილიტაციაში ჩართული ადამიანების **უმეტესობა არ არის არქიტექტორ-რესტავრატორი, არ იზიარებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრინციპებსა და საერთაშორისოდ აღიარებულ სარესტავრაციო მეთოდოლოგიას.** შესაბამისად, თბილისის ერთ-ერთი უძველესი ნაწილი მათი მხრიდან აღქმულია, როგორც დიდი სამშენებლო პოლიგონი რკინა-ბეტონის ახალი შენობებისთვის;

● ორბელიანის მოედანზე, როგორც საიასთვის გახდა ცნობილი, **გამოვლინდა არქეოლოგიური ფენები, რაც ფრთხილად გახსნას, შესწავლასა და დაფიქსირებას საჭიროებდა.** სამუშაოს გაჭიანურების საშიშროების გამო, ფონდმა დამალა ეს ინფორმაცია. შედეგად, თბილისის ამ უძველეს უბანში **შეუქცევადად განადგურდა, დაიკარგა ძვირფასი და მნიშვნელოვანი არტეფაქტები და ისტორიული ფენები.**

ანგარიშში აღნიშნულია ისიც, რომ უყურადღებოდ არის მიტოვებული გუდიაშვილის მოედანზე მიმდინარე რეაბილიტაციისას ნაპოვნი არქეოლოგიური არტეფაქტებიც, სადაც მიმდინარე სამუშაოებზე არქეოლოგის ზედამხედველობა აღარ ხორციელდება, არავინ ადევნებს თვალყურს მიწის სამუშაოებს.

მოძიებული არტეფაქტები უსისტემოდ, ფოტოფიქსაციისა და აღრიცხვის გარეშეა დასაწყობებული ერთ-ერთ შენობაში. ანგარიშის თანახმად, დღემდე არ არსებობს წერილობითი დასკვნა გუდიაშვილის მოედანზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალისა და ფენების შესახებ, რაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს უნდა წარმოედგინა.

ნასტასია არაბული

ძალიან მაინტერესებს, მარიხუანის თემაზე ამ კაცს ხმა რომ არ ამოუღია, ახლა სიგარეტზე ასე რამ გააგიჟა?!

თუთუნის **გაძვირება ქვეყანას, ბიზნესს და მოსახლეობას ახალი პრობლემების წინაშე დააყენებს. ერთი მხრივ კონტრაბანდა გაიზრდება, მეორე მხრივ ბიუჯეტს შემოსავლები დააკლდება და იქვე მომხმარებელიც დაზარალდება.**

„ბრიტიშ ამერიქან თობაქოს“ კორპორაციული დირექტორი ზვიად სხვიტარიძე აცხადებს, რომ თუთუნზე აქციზის გაზრდის და საბაჟოზე მისი გაკონტროლების შემთხვევაში მისი ფასი საკმაოდ გაიზრდება. მისი ფასი, შესაძლოა, გაორმაგდეს კიდეც.

„ამჟამად საბაჟოზე 20 კგ-იანი თუთუნი შემოდის, ჩვეულებრივ ტომრებშია განთავსებული და შემდეგ ადგილზე ხდება დაფასოება, საბაჟოზე აქციზს მათ არ ახდევინებენ. აქციზის გადასახადი 1 კგ-ზე 35 ლარია, ეს თანხა რომ გადაახდევინონ თუთუნს, დაბალ ფასში უკვე ვეღარ გაყიდიან, რადგან ფასი გაიზრდება. ამ შემთხვევაში 500-გრამიანი შეფუთვები დაახლოებით 45-50 ლარამდე გაიზრდება. ახლა მისი ფასი შედარებით ნაკლებია — 8, 10, 15, 20 ლარი ღირს“, — განაცხადა მან.

ბიზნესმენი პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს აკაკი ზოიძის ინიციატივასაც გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც თუთუნზე ფასების გაძვირება იგეგმება. მისი განმარტებით, ამ შემთხვევაში არალეგალური ვაჭრობა გაცოცხლდება და უფრო გაძლიერდება.

„როდესაც აკაკი ზოიძემ თქვა, რომ თუთუნზე აქციზის გაზრდას და მის კონტროლს აპირებენ, ისიც უნდა აღენიშნა, რომ ამის ამოქმედების შემდეგ, გაცოცხლდება და გაძლიერდება არალეგალური ვაჭრობა. სომხეთიდან და რუსეთიდან წამოსული სიგარეტი უფრო პოპულარული გახდება და მის მოხმარებაზე გადავა ხალხი“, — აღნიშნავს სხვიტარიძე „ბიზნეს მედიასთან“.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე უკვე რამდენიმე დღეა დაბეჯითებით აცხადებს, რომ შემდეგი ნაბიჯი თუთუნის გაძვირება უნდა იყოს. ეკონომისტები კი ვარაუდობენ, რომ ეს კონტრაბანდის მასშტაბებს კიდევ უფრო მეტად გაზრდის. არალეგალური სიგარეტის შემოდინება ორი მიმართულებიდან მოხდება — რუსეთიდან აფხაზეთის გავლით და სომხეთიდან.

ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი დეპუტატ ზოიძეს მოუწოდებს, რომ სოციალური რისკები კარგად დათვალოს და გაიაზროს, რომ ფასების ზრდა კორუფციის საფრთხეს კიდევ უფრო ზრდის. მისი აზრით, ეს ქვეყანაში შავი ბაზრის არსებობას ხელს შეუწყობს და ამით კიდევ უფრო ბევრი ადამიანი დაზარალდება „ძალიან მაინტერესებს, მარიხუანის თემაზე ამ კაცს ხმა რომ არ ამოუღია, ახლა სიგარეტზე ასე რამ გააგიჟა. მაინცდამაინც ქვეყანაში სიგარეტის მწეველების ბუნტი უნდა მოაწყოს?

„ხალხი შიმშილით რომ გვეხოცება, მაინცდამაინც თამბაქოს და სიგარეტს უნდა მივვარდეთ და ქვეყანაში ახლა ეს ნომერ პირველი პრობლემა გვაქვს? რისკები მაიტერესებს, რასაც სიგარეტის და თამბაქოს ფასის ზრდა გამოიწვევს, დათვლილი აქვს? გააანალიზა? კორუფციის რისკებს გაზრდის და აფხაზეთიდან კონტრაბანდის შემოტანას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს“, — აცხადებს ხუხაშვილი.

ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე კი ფიქრობს, რომ სიგარეტზე აქციზის ნებისმიერი ზრდა არის მომხმარებლის პრობლემა. მწარმოებელი და იმპორტიორი ამ დროს, ფაქტობრივად, არ ზარალდებიან. ისინი აძვირებენ პროდუქციას, ხოლო გაზრდილ ფასს მომხმარებელი იხდის. სიგარეტი არის ის პროდუქტი, რომელზეც ერთბაშად უარის თქმა ძნელია, ამიტომ ფასნამატის მთელი ტვირთი მომხმარებელს აწვება და ისედაც სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას დამატებით ფინანსურ პრობლემას შეუქმნის.

გეძა დანელია

კონფლიქტი მართლმადიდებლობაში და ქართული ეკლესიის პოზიცია

თავდაპირველად იმის შესახებ მოგახსენებთ, რაც სავსებით ცხადია.

საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობა მეგობრობისა და კონსტრუქციული თანამშრომლობის საფუძველს ემყარება, რასაც დიდწილად ხელს უწყობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის კირილეს კეთილი პირადი ურთიერთობები. სახელმწიფოთა რთულ, მათ შორის ორ ქვეყანას შორის გაწყვეტილ დიპლომატიურ ურთიერთობათა პირობებში, ორივე ეკლესია თავისებურ ხიდს წარმოადგენს, რომელიც ხალხთა სულიერ თანხვედრას უზრუნველყოფს, რისი აუარება მაგალითი არსებობს.

მაშ, რა უნდა ვუყოთ ამ მოცემულობას? ამ კითხვაზე პასუხის ორი ვარიანტი არსებობს. პირველი პასუხი ასეთია: შევინარჩუნოთ, გავაფართოოთ, გავაღრმაოთ ეკლესიებს შორის ურთიერთობა ორი ხალხის საკეთილდღეოდ. მეორე პასუხი: დავანგრიოთ, მოვსპოთ აწყობილი კავშირები, მივიყვანოთ ისინი პერმანენტული კონფლიქტისა და ქაოსის მდგომარეობაში.

სამწუხაროა, მაგრამ საქართველოში მეტად გავლენიანი ძალები ქვეყნის მართლმადიდებელ ეკლესიას მეორე გადაწყვეტილების მიღებისკენ უბიძგებენ. მათ კონფლიქტი სწადიათ, თანაც რაც უფრო მალე მოხდება ის, მით უკეთესი.

ცოტა ხნის წინათ ამის საბაბიც გაჩნდა: ესაა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების ფაქტი და მისდამი ქართული ეკლესიის დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, ეს მეტად დელიკატური, რთული, თანაც უაღრესად პოლიტიზებული საკითხია. ამიტომ სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს, უდიდესი სიფრთხილით ეკიდება საკუთარი პოზიციის გამოთქმას და კონფლიქტში მყოფ ეკლესიებს ურთიერთშეთანხმების მიღწევისკენ მოუწოდებს. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს საერო ხელისუფლებამაც პირდაპირ განაცხადა, რომ არ აპირებს ავტოკეფალიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩარევას და მთლიანად ენდობა წმინდა სინოდის სიბრძნესა და ზომიერებას.

ჰოდა, როგორ უნდა მოიქცეს ამ ვითარებაში საქართველოს ეკლესია? ცხადია, და აქ სხვა აზრი არც შეიძლება იყოს! — საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი, მრევლის, საქართველოს, ერთიანად ქვეყნის ინტერესებით ვიხელმძღვანელოთ.

ახლა კი საკითხის ისტორიას გადავხედოთ.

კონფლიქტის ისტორია

7 სექტემბერს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მომზადების ფარგლებში“, კიევში თავისი ეგზარქოსები, ანუ წარგზავნილები დანიშნა, თუმცა ის მოსკოვის საპატრიარქოს კანონიკურ ტერიტორიას წარმოადგენს. სტამბოლში 1-2 სექტემბერს ჩატარებულ კონსტანტინოპოლის პარტრიარქატის არქიერულ სობოროზე ითქვა, რომ კიევის მეტრპოლია მოსკოვში კონსტანტინოპოლის სანქციის გარეშე იყო გადატანილი.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპასუხო გადაწყვეტილებები 15 სექტემბერს მინსკში გამართულ წმინდა სინოდის სხდომაზე იქნა მიღებული. ეკლესიის საგარეო კავშირების განყოფილების თავკაცის, ვოლოკალამის მიტროპოლიტის ილარიონის თქმით, ეს გადაწყვეტილება მომავალში შეუძლებელს ხდის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქატის წარმომადგენელთა ერთობლივ ღვთისმსახურებას. მიტროპოლიტმა განმარტა, რომ განხეთქილების მომხრეებთან ევქარისტული ურთიერთობა კანონიკურ დანაშაულადაა მიჩნეული, რასაც სასჯელი მოსდევს.

რა უნდა გაკეთდეს?

ახლა კი კვლავ დავსვათ კითხვა: როგორი პოზიცია უნდა დაიკავოს ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ამ რთულ ვითარებაში? გასულ წელს გამართულ ბოლო სხდომაზე წმინდა სინოდს ამ საკითხთან დაკავშირებით ვერდიქტი არ გამოუტანია.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა სხდომაზე უკრაინაში მიმდინარე რთულ საეკლესიო პროცესებზე ილაპარაკა და შეშფოთება გამოთქვა კონსტანტინოპოლისა და მოსკოვის საპატრიარქოებს შორის დაძაბულ ურთიერთობებთან დაკავშირებით. პატრიარქის თანამოსაყდრეს, მიტროპოლიტ შიო მუჯირის თქმით, უკრაინის ეკლესიასთან დაკავშირებით თავის პოზიციას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სინოდის მომავალ სხდომაზე გაასაჯაროებს, რომელიც გაზაფხულზე გაიმართება.

წინ არ გავუსწროთ მოვლენებს

უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ყურაღდების მიღმა არც პოლიტიკოსებს დარჩენიათ. საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ უკრაინელ მეგობრებთან ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები გაიმართება.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა განაცხადა, რომ საქართველო მიესალმება ნებისმიერ ნაბიჯს, რომელიც გააძლიერებს უკრაინის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. „მაგრამ, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით აზრი, უწინარესად, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ უნდა გამოთქვას“, — მიაჩნია მინისტრს.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა მდინარაძემ საზოგადოებრიობა გააფრთხილა ავტოკეფალიის საკითხის ირგვლივ ხელოვნური აჟიოტაჟის შექმნასთან დაკავშირებით. „მოდით, საპატრიარქოს ვერდიქტს დაველოდოთ, ჩვენი აზრი კი ამის თაობაზე შემდეგ გამოვთქვათ“, — თქვა მან. ამდენად სასურველია, რომ ვერდიქტი გამოტანილ იქნას არა ზოგიერთ პოლიტიკოსთა წნეხის ქვეშ, რომელთა მცდელობა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის თემაზე პოლიტიკური დივიდენდების მიღებასთან დაკავშირებით, დღითი დღე სულ უფრო თავხედური ხდება.

მაგალითად, თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა, რომელიც ამჟამად პარტია „ევროპულ საქართველოში“ მოღვაწეობს, იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობამ დღემდე არ მიულოცა უკრაინელ ხალხს ავტოკეფალიის მიღება, „მორიგი სირცხვილი“ უწოდა.

დღესდღეობით ბევრი ქართველი ავტორიტეტული პოლიტიკოსი და ექსპერტი შეგვახსენებს, რომ რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობებმა არა მარტო გაუძლეს დროის გამოცდას, არამედ ისინი ვერ დაარღვიეს 2008 წლის აგვისტოს სისხლიანმა მოვლენებმაც კი. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მართლმადიდებელი ეკლესიების პოზიციების შესახებ ლაპარაკი კი, რომლებიც გამოეყვნენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, სრულიად ზედმეტია. ამ მხრივ პატრიარქ კირილეს აზრი გამოკვეთილია: აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური ტერიტორიის ნაწილებია.

ლეღვის ფოთოლი

თუმცა, საქართველოში არიან ქვეყნის ხვალინდელ დღეზე ჭეშმარიტად მზრუნველი პოლიტიკოსებიც, რომლებიც არ ყვებიან პროვოკატორთა ხრიკებს. კერძოდ, პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა და დავით თარხან-მოურავმა ცოტა ხნის წინათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორესა და წმინდა სინოდის ღია წერილით მიმართეს, რომელშიც სთხოვეს არ აღიარონ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. მათ, კერძოდ, განაცხადეს, რომ შეწუხებულები არიან მრავალსაუკუნოვან ფასეულობათა გლობალური გადაფასების პროცესით.

იმის შესახებ, რომ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხში, უკრაინელი ხალხის ნაწილის ინტერესები საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგება, პირდაპირ ლაპარაკობს პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე: „თუკი საქართველოს ეკლესია აღიარებს უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიას, რუსეთის საპატრიარქო ავტომატურად მოიმოქმედებს იმას, რაც დღემდე არ გაუკეთებია — აღიარებს აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობას და ეს იქნება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს (ე. წ. სამხრეთ ოსეთის) დამოუკიდებლობის აღიარების გზაზე გადადგმული უზარმაზარი ნაბიჯი და დამღუპველი იქნება საქართველოს გაერთიანების პერსპექტივისთვის“, — აცხადებს ბურჯანაძე.

დაბოლოს, მსოფლიო პატრიარქატის წარმომადგენლის, საფრანგეთის მიტროპოლიტის ემანუელის თბილისში ამასწინანდელი ვიზიტის შესახებ, რომელმაც საქართველოს საპატრიარქოში შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე, კერძოდ, განაცხადა: „ჩვენ თბილისში იმის გამო არ ჩამოვსულვართ, რომ ვინმეს თავს მოვახვიოთ ჩვენი აზრი, ზეწოლა მოვახდინოთ, ან რაიმე მიუღებელი წინადადება შევთავაზოთ. ჩვენ მხოლოდ საინფორმაციო შეხვედრა გვქონდა, რა დროსაც მსოფლიო პატრიარქის ტომოსში წამოყენებული ზოგიერთი საკითხის დეტალის შეთანხმება იყო. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სიბრძნემ. ეს იყო ორი ეკლესიის წარმომადგენლის ძმური შეხვედრა“.

მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაციის ვიზიტის შედეგებით კმაყოფილება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის თანამოსაყდრე შიომაც გამოთქვა: „ჩვენ მრავალ სერიოზულ თემაზე ვიმსჯელეთ. მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ყველა მიმოხილულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს პოზიციას სტუმრები გაგებით შეხვდნენ“.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხში საქართველოს ეკლესიის მსგავს ფრთხილ პოზიციას სხვებიც იკავებენ. არსებული მონაცემებით, მრავალი ადგილობრივი მართლმადიდებელი მრევლი თავს იკავებს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისგან. მაგალითად, ვარშავისა და სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტმა განაცხადა, რომ პოლონეთის ეკლესია არ აღიარებს განდეგილ სტრუქტურას. ელადის მართლმადიდებელ ეკლესიაში კი მიაჩნიათ, რომ საეკლესიო რღვევის პრობლემის დაძლევა, რომელიც უკრაინის ეკლესიისთვის ტომოსის მინიჭების შემდეგ წარმოიშვა, შეუძლია ეკლესიათა მსოფლიო სობოროს. ამ ფორუმის ჩატარების აუცილებლობის შესახებ კიფირისა და ანტიფირის მიტროპოლიტმა სერაფიმმა განაცხადა.

ვადიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი.

„ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲐ ᲛᲘᲗᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ...“

ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ

„ᲘᲡ ᲐᲫ ᲐᲠᲘ!“ მისთვის ჩვეული ტერმინით, ტელეფონში თავისი გამორჩეული ხმით მპასუხობს. შეხვედრას ვთხოვ, ვინაიდან მასზე ნარკვევის დაწერას ვაპირებ. „მაესტრო! დღეს საღამოს სამეგრელოში მივდივარ ხუთი დღით, შეხვედრები მაქვს მოსახლეობასთან, ჩამოვალ და გნახავ. საინტერესო რაღაცებს მოგიყვები“, მპასუხობს თანამედროვეობის ერთ-ერთი კოლორიტული, ნიჭიერებით და უშუალობით გამორჩეული პიროვნება, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი.

უმალ გონებაში ამოტივტივდა ლამის ჰიტად ქცეული მისი სიმღერები, რომლებიც ქართველმა მსმენელმა უმალ აიტაცა და გაითავისა. დიახ, მისი მუსიკალური შედევრებით მონიჭებული შინაგანი განცდები, ემოცია და აღმაფრენა სწორედაც რომ ხალხს ეკუთვნის, მათთვის იქმნება, მათი სულიერების მეკვლედ გვევლინება.

ხელოვანი, განსაკუთრებით კომპოზიტორი, იოლად როდი ახერხებს თავისი ქმნილებების ადამიანებამდე მიტანას, იოლად როდი იპყრობს მსმენელის გულს. იშვიათად მინახავს კომპოზიტორი, რომელიც ასე ახლოს იდგეს მსმენელთან, მის პულსზე ედოს ხელი და თითოეული ადამიანის მაჯისცემას გრძნობდეს ისე, როგორც ამას ვაჟა აზარაშვილი ახერხებს. მას შესანიშნავად ესმის საკუთარი ადგილი და როლი ხელოვნებაში. უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის პროცესს. აბა, კარგად დააკვირდით მის მრავალფეროვან მუსიკას, თუ მასში რაიმე ზედმეტი, ყალბი ან ზერელე ინტონაცია აღმოაჩინოთ. იგი იოლად აღსაქმელი, ყველასთვის გასაგები, ახლობელი და შინაურია, ამიტომაცაა, რომ აზარაშვილის მუსიკა, განსაკუთრებით რომანსები და სიმღერები, უდიდესი პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში. ეს ქმნილებები სანიმუშოა არა მხოლოდ მაღალმხატვრული ღირებულებით, არამედ იმითაც, რომ აქ თავს იყრის კომპოზიტორის სტილის განმსაზღვრელი ისეთი თვისებები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ ახალ-ახალი განვითარების საფეხურს პოულობს მისი სასიმღერო შემოქმედების ადგილის დამკვიდრებაში.

ვაჟა აზარაშვილი 1936 წელს თბილისში, მუსიკალურ ოჯახში დაიბადა. დაწყებითი განათლებაც მუსიკალურ სკოლაში მიიღო. სწორედ აქ გამოჩნდა მისი შესაძლებლობები. იგი მთელი მონდომებით აგრძელებს სწავლას თბილისის IV მუსიკალურ სასწავლებელში კომპოზიტორ ალექსანდრე შავერზაშვილის კლასში, მომდევნო წლებში ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, პროფესორ იონა ტუსკიას კლასში. ასპირანტურა აქვე ანდრია ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით დაამთავრა. მისი მუსიკალური შესაძლებლობები ადრეულ ასაკში გამოვლინდა. უკვე მუსიკალურ სასწავლებელში შანდორ პეტეფის ლექსზე ქმნის სიმღერას – „როგორ მიყვარხარ“. კონსერვატორიის მეორე კურსზე იყო, როცა კომპოზიტორთა კავშირში გამოცხადდა დახურული კონკურსი რომანსებზე. დაწესებული 5 პრემიიდან 3 ვაჟა აზარაშვილის რომანსებმა – „მადლი შენს გამჩენს“, „მძინარე ქალი“ და „ღამე მთაში“ მიიღო. ამ რომანსებში აშკარად იგრძნობა შემოქმედებითი ძიება, სრულიად ახალი საშემსრულებლო და გამომსახველობითი თვისებები, ჰარმონიული ენა, კილო და ტექნიკური ხერხები. იგი წარმატებით გამოდის 1962 წელს მოსკოვში გამართულ ახალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედებით დათვალიერებაზე, სადაც მისმა ნაწარმოებებმა საერთო აღიარება და მოწონება დაიმსახურეს.

კომპოზიტორის მსხვილი მუსიკალური ფორმის ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი პირველია სავიოლინო სონატა, რომლის შექმნასაც უდავოდ ხელი შეუწყო ახალგაზრდობაში ვიოლინოს ინსტრუმენტისადმი მისმა გატაცებამ. იგი მხოლოდ ერთი მიმართულებით არ შემოიფარგლება. ამის შემდეგ აზარაშვილი ქმნის სხვადასხვა ჟანრის მაღალი გემოვნების მრავალფეროვან მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომელთა შორის უნდა დასახელდეს მისი ექვსი მუსიკალური კომედია, რომლებიც დიდი წარმატებით დაიდგა თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე; წერს შვიდ კონცერტს სხვადასხვა ინსტრუმენტისთვის, მათ შორის – ვიოლონჩელის, ალტის, ფლეიტის, ფორტეპიანოს და ვიოლინოსთვის, ორკესტრთან ერთად; ორ სიმფონიას; უამრავ კამერულ მუსიკას; სონატებს სხვადასხვა ინსტრუმენტისთვის; ტრიოს; კვარტეტს; ვოკალურ ციკლებს – იოსებ გრიშაშვილის, შოთა ნიშნიანიძის, ანა კალანდაძის ლექსებზე; პოეტ მორის ფოცხიშვილის ლექსზე წერს ვოკალურ ციკლს – „პოეტის აღსარება“. ქმნის მეტად საინტერესო ნაწარმოებებს – „თეატრალურ ნიღბებს“ და „ფანტაზიას ძველი თბილისის თემებზე“, რომელმაც 2003 წელს სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრემია მიიღო. მის კალამს ეკუთვნის ხუთი პრელუდია და უამრავი სხვა. კომპოზიტორმა 1960-70 წლებში ქუთაისის ლადო მესხიშვილის, მარჯანიშვილის და რუსთაველის დრამატულ თეატრში არაერთი სპექტაკლი გააფორმა მუსიკალურად.

1981 წელს იდგმება აზარაშვილის ბალეტი „ხევისბერი“. ამ ნაწარმოებზე მუშაობისას კომპოზიტორი სრულად დაეყრდნო ფშაური მუსიკალური ფოლკლორის კანონზომიერებებს და შემოქმედებითად გამოიყენა თანამედროვე მუსიკალური აზროვნების პროგრესული მეთოდები. 1995 წელს იგი კიდევ ერთხელ მიუბრუნდა მუსიკალური კომედიის ჟანრს და შექმნა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მიუზიკლი „მეჩექმე გაბო“.

ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებითი შესაძლებლობები უფრო ვოკალურ მუსიკაში, კერძოდ კი სასიმღერო ჟანრში აისახა. მეტად საინტერესოა მისი მუსიკალური აზროვნების ნიშანდობლივი ჰარმონიულ-მელოდიური და ინტონაციური თვისებები, რომლის პროფესიული ხელწერა და სახე ნამდვილად ნაყოფიერი და შედეგიანი აღმოჩნდა მის მუსიკალურ მემკვიდრეობაში. მან მთელი სითამამით და გაბედულად შეაბიჯა ქართულ სასიმღერო სივრცეში და საერთო სიყვარული დაიმსახურა. რაც მთავარია, კომპოზიტორი მშობლიურ მიწაზე მყარადაა დამკვიდრებული, რა დროსაც მისი შთამბეჭდავი მუსიკალური შემოქმედება ეროვნულ წიაღში განტოტვილი ფესვებიდან იღებს სათავეს, თუმცა მის ქმნილებებში ქართული ფოლკლორის პირდაპირი კოპირება როდია გადმოცემული?! ხალხური მუსიკა აზარაშვილს უდიდეს შინაგან სტიმულს აძლევს და უბიძგებს მას, არ მოწყდეს ჩვენი სულიერების წყაროს და რაც შეიძლება ახლოს იდგეს მასთან. კომპოზიტორს ქალაქური მელოდია იტაცებს, ცდილობს, უფრო ომახიანი და ძარღვიანი ჟღერადობის გახადოს იგი და თავისი ხელწერით ფართო მსმენელს ისე შესთავაზოს. მინდა, გამოვყო ხელოვანის მიდგომა სასიმღერო ტექსტისადმი. იგი შესანიშნავად გრძნობს მუსიკალური ტექსტის ლექსიკას, მის წყობას, ხასიათს, კარგად იცის მაღალნიჭიერი ქართული სიტყვის ფასი. ამიტომაა, რომ კომპოზიტორის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება სულ ძიებასა და აღმოჩენაშია. თუ არა ასეთი სათუთი მიდგომა ტექსტისადმი, მისი სიმღერები დაკარგავდნენ იმ ხიბლს და სილამაზეს, რითაც მათ ხალხის საერთო აღიარება მოიპოვეს. აღიარება კი თავისით არ მოსულა.

მხოლოდ ნიჭიერება არაფერს ნიშნავს, თუ მას არ ახლავს დაუღალავი შრომა, შთაგონება, შემოქმედებითი ფანტაზია, შინაგანი აღმაფრენა და ალღო. ყველა ეს თვისება ვაჟა აზარაშვილს უხვად აქვს მომადლებული. მისი ერთიერთმანეთზე უკეთესი სიმღერები ხალხში უსაზღვრო სიყვარულით სარგებლობს, რომლებიც ჰარმონიული ჟღერადობითაა გაჯერებული და უმაღლეს სახელოვნებო თვისებებს წარმოაჩენს, ამავე დროს მისმა ტკბილმა მელოდიებმა დროს გაუძლო და დღესაც დიდი ინტერესით ვისმენთ. ვაჟას სიმღერების – „მზე ჩემი მეგობარია“, „ისევ წვიმს“, „თოვლი, თოვლი მდუმარების“ გამო ბიძინა კვერნაძემ იუმორით მას „ამინდის პროგნოზის კომპოზიტორი“ უწოდა, ხოლო თბილისის „დინამოზე“ შექმნილი, მართლაც სახალხოდ ქცეული სიმღერის – „დინამო, დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოზე“ დაწერილი სიმღერებისთვის მეგობრებმა „ფეხბურთის კომპოზიტორი“ შეარქვეს. თბილისისთვის დამახასიათებელი, ქუჩებში მოსიარულე მეარღნის შთაბეჭდილებითაა დაწერილი – „კინტო“, „არღანი“, „ისანი“, „ბანტიანი გიტარა“. კომპოზიტორმა არაერთი დიდებული სიმღერა მიუძღვნა მშობლიურ ქალაქს: „თბილისური ლირიკული“, „სიმღერა თბილისზე“, „სიმღერა მეტეხზე“. უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მისი – „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“, „დღეები მიდიან“, „მუსიკა“, „პატარა გოგო“, „რა კარგი ხარ“, „ნანა“. შთამბეჭდავია „სხვა საქართველო სად არი“, „მაშ, გამარჯვება“; მედუდუკეთა ანსამბლ „სოინარისთვის“ დაწერილი სიმღერა – „ქსოვრელები მღერიან“, ჰიმნი იმერეთზე, რუსთავზე და უამრავი სხვა.

წლების განმავლობაში ვაჟა აზარაშვილის სიმღერები კვებავდა და ამდიდრებდა საესტრადო მომღერლების – ნანი ბრეგვაძის, გიული ჩოხელის, ვახტანგ კიკაბიძის, თამარ გვერდწითელის, ეთერ კაკულიას, ნიკო ჯადუგიშვილის, სოფო გელოვანის; ანსამბლების – „ორერას“, „რეროს“, „ივერიის“, „თეატრონის“ და სხვათა რეპერტუარს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიტორი შთამბეჭდავად ასრულებს თავისივე სიმღერებს.

ეს კოლორიტული და ხალხის საერთო სიყვარულით გარემოსილი ხელოვანი არასოდეს გაქცევია ცხოვრებისეულ თუ ყოფით ნიუანსებს. სიამოვნებას გვრის ხალხთან სიახლოვე, მეგობრებში ქეიფი და მოლხენა. ამასთან დაკავშირებით, როგორც თვითონ აცხადებს, მისი ყოველდღიური საქმიანობა ორი პუნქტისაგან შედგებოდა: დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათამდე ინტენსიურად ქმნიდა ნაცნობ მელოდიებს. ამის შემდეგ თუ კონსერვატორიაში ლექცია არ ჰქონდა, გადადიოდა მეორე პუნქტზე (ახლობლებთან ქეიფზე). როცა კოლეგებს ხვდებოდა, ყოველთვის ეკითხებოდა, თუ რომელ პუნქტზე იყვნენ ისინი. თუ იტყოდნენ, რომ დილიდანვე მეორე პუნქტზე ვართო, ვაჟასგან საყვედურებს იღებდნენ: „ეგრე არ გამოვა, მოლხენა საინტერესოა მაშინ, როცა პირველი პუნქტი უკვე შესრულებული გაქვთო!“ მართლაც, ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომის შემდეგ, განტვირთვა აუცილებელიც კია. ამ ეპიზოდში კარგად მოჩანს თავისი საქმისადმი განსაკუთრებული პასუხისმგებლობა. რაც შეეხება მის პირად თვისებებს, იგი უდიდესი ადამიანური სითბოთი, სიკეთით და სიყვარულითაა სავსე. ნებისმიერ დროს მზადაა სხვის დასახმარებლად, რისთვისაც სულაც არ დაეზარება რამდენიმე ასეული კილომეტრის გავლაც კი. ეს ყველას არ შეუძლია.

ხელოვანი თავის შემოქმედებით წარმატებას აღწევს იმ შემთხვევაში, თუ მის გვერდით იმყოფება ღირსეული, სულიერებით მდიდარი ადამიანი. ამ მხრივ ვაჟა აზარაშვილს ნამდვილად გაუმართლა. მისი მეუღლე და ცხოვრების თანამგზავრი ქალბატონი მანანა დანგაძე მუსიკოსია, თუმცა თავისი შესაძლებლობები პოეზიაშიც სცადა. დაწერილი აქვს არაერთი შესანიშნავი ლექსი. რამდენიმე მათგანზე კომპოზიტორს სიმღერები აქვს შექმნილი. ქალიშვილ ნათიას კონსერვატორია აქვს დამთავრებული. იგი წარმატებული კონცერტმაისტერია ოპერის თეატრსა და კონსერვატორიაში. შვილიშვილებს შეჰხარის, რომლებიც ხელოვანის შთაგონებისა და სულიერების წყაროა. 19 წლის თეკლა გოგსაძე უმაღლესში ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლობს, ლევან გოქსაძე კი სკოლის მოსწავლეა.

1961 წლიდან ვაჟა აზარაშვილი შემოქმედებითი მოღვაწეობის პარალელურად, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა. ამჟამად იგი თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორია. 1998-2007 წლებში თავმჯდომარეობდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს. მას ქართულ ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის მიენიჭა სახელმწიფო, შოთა რუსთაველის, იაკობ გოგებაშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის პრემიები; არის საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის, ბორჯომის, ხობის, ახალციხის და იყალთოს საპატიო მოქალაქე, მინიჭებული აქვს ღირსების ორდენი, ხელოვნების ქურუმის, კულტურის რაინდისა და კულტურის ამაგდარის წოდებები. ფილარმონიის წინ გახსნილია მისი ვარსკვლავი.

ქართველი ხალხის სულიერების გამდიდრების მიზნით, ვაჟა აზარაშვილი კვლავაც დიდი შემართებით აგრძელებს ახალი შედევრების შექმნას.

შემოქმედებითი გამარჯვებები და წელთა სიმრავლე, უბერებელო მაესტრო!

ᲒᲔᲚᲐ ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.
ტელ: 551 49 19 97

„ᲓᲘᲓᲘᲡ ᲭᲙᲣᲐᲡᲐ ᲑᲠᲫᲔᲜᲗᲐᲡᲐ...“

ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ ᲰᲔᲜᲠᲘ ᲤᲝᲠᲓᲘ?

ᲰᲔᲜᲠᲘ ᲤᲝᲠᲓᲘ იყო გამომგონებელი, მთელ მსოფლიოში ავტომობილების მწარმოებელი ქარხნების მფლობელი, რომელიც ოცნებობდა ცხოვრებაში „ავტომობილი ყველასთვის“ ხორცშესხმას. ფორდი ცნობილია არა მარტო ავტომშენებლობის დარგში, არამედ თავისი სხარტი გამონათქვამებით ცხოვრების სულ სხვადასხვა სფეროზე.

ეს აგრერიგად სახელგანთქმული კაცი დაიბადა 1863 წლის 30 ივლისს ირლანდიელი ემიგრანტების ოჯახში, დეტროიტის ახლოს, მიჩიგანის შტატში. იქ ფერმა ჰქონდა მამამისს.

12 წლისამ მან პირველად დაინახა ლოკომობილი, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყმაწვილზე და იმ დროიდან დაიწყო ცნობისმოყვარე პატარა ფორდმა მოძრავი მექანიზმის შესაქმნელად ჩხირკედელაობა. ჰენრის მშობლები შვილის ფერმერობაზე ოცნებობდნენ, ის კი 16 წლისა დეტროიტში წავიდა სამუშაოდ.

1887 წელს ფორდმა ცოლად მოიყვანა კლარა ბრაიანტი, რომელთანაც მთელი სიცოცხლე იცხოვრა. კლარა ფრიად გონიერი და მშვიდი ქალი იყო. თავისი დაუშრომელი ქმრის ნამდვილი მეხვაიშნე, თანამდგომელი. 1891 წელს ცოლ-ქმარს ვაჟიშვილი ედსელი შეეძინა.

ერთ-ერთი პირველი რამ, რაც ფორდმა შექმნა, სალეწი მანქანა იყო ფერმაში სამუშაოს შესამსუბუქებლად. თუმცა გამოგონების პატენტი მან მალევე ტომას ედისონს მიჰყიდა, რომელმაც შემდგომ იგი თავის კომპანიაში მიიწვია სამუშაოდ.

1891-1899 წლებში ფორდი ინჟინერ-მექანიკოსად მუშაობდა, ხოლო მოგვიანებით მთავარი ინჟინერი გახდა „ედისონის ელექტრონულ კომპანიაში“.

1893 წელს ჰენრი ფორდმა შექმნა თავისი პირველი ავტომობილის კონსტრუქცია. 1899 წელს იგი „დეტროიტის საავტომობილო კომპანიის“ თანამფლობელი გახდა, ხოლო 1902 წელს ფირმიდან წავიდა დანარჩენ თანამფლობელებთან შეუთანხმებლობის გამო.

1902 წელს ფორდმა ბრწყინვალე რეკლამით წარადგინა საზოგადოების წინაშე თავისი ავტომობილი. 1903 წელს მან დააარსა „ფორდ მოტორ კომპანი“, რომელმაც თავდაპირველად „**Ford A**“ მარკის ავტომობილების გამოშვება დაიწყო.

მაგრამ უფრო იაფი და საიმედო ავტომობილის გამოშვების იდეა მოსვენებას არ აძლევდა ფორდს. 1908 წელს კომპანიამ გამოუშვა „ფორდ-ტ“ მოდელი, რომელმაც ღირებულების მხრივ, როგორც იტყვიან, პირი დააღებინა კონკურენტებს. ამ მოდელის გაყიდვამ დიდძალი ფული მოაზღვავა. 1902 წელს „ფორდი-ტ“ 850 დოლარი ღირდა, 1913 წელს – 550 დოლარი. 1914 წელს მსოფლიოში ყველა ავტომობილის ათ პროცენტს სწორედ ფორდის ავტომობილები შეადგენდნენ.

ფორდი ხელგამომავალი მიზნესმენი იყო, ხალხი იმის ქარხანაში მოხვედრაზე ოცნებობდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანები პირველად მოესწრნენ რვასაათიან სამუშაო დღეს, კვირაში ერთ უქმე დღეს და ანაზღაურებულ შვებულებას. ქარხნის მუშები გვარიან ხელფასსაც იღებდნენ და, ის კი არა, ავტომობილი „ფორდის“ შეძენის საშუალებაც ჰქონდათ.

1922 წელს ჰენრიმ გამოუშვა ავტობიოგრაფიული წიგნი – „ჩემი ცხოვრება, ჩემი მიღწევები“.

1927 წელს ფორდის ავტომობილების გაყიდვა მკვეთრად შემცირდა (კომპანია ყიდდა მხოლოდ ერთ მოდელს და მხოლოდ ერთი ფერისას – შავს) და კომპანიას გაკოტრება ემუქრებოდა (მთავარი მეტოქე-კონკურენტი გახდა **General Motors**-ი, რომელიც მყიდველს მოდელების დიდ არჩევანს სთავაზობდა, და მსურველს შეეძლო ავტომობილის კრედიტითაც შეძენა).

ფორდმა შეაჩერა „ფორდ-ტ“-ს წარმოება, მუშები სულ ერთიანად დაითხოვა და დაიწყო ავტომობილის ახალ მოდელზე მუშაობა. იმავე 1927 წელს მან საზოგადოებას წარუდგინა ახალი მოდელი „ფორდ-ა“ (რუსული „პობედის“ მსგავსი), რომელიც წინა მოდელისგან გარეგნულადაც განსხვავდებოდა და ბევრად უკეთესი ტექნიკური მახასიათებლებითაც.

1930 წლამდე ფორდი კომპანიის ხელმძღვანელად რჩებოდა, ხოლო მერე ვაჟიშვილს დაუთმო ადგილი. 1943 წელს კი შვილის სიკვდილის შემდეგ, კვლავ სათავეში ჩაუდგა წარმოებას.

ჰენრი ფორდი 83 წლის გარდაიცვალა (1947 წლის 7 აპრილს), იქვე, სადაც დაიბადა – დეტროიტის ახლოისად).

ამჟამად ფორდის კომპანია მსოფლიოში მეოთხეა არსებობის მთელ მანძილზე ავტომობილთა გამოშვების მოცულობის მხრივ. „ფორდ მოტორ კომპანი“-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა ჰენრი ფორდის შვილთაშვილი – უილიამ კლეი ფორდი-უმცროსი.

„ᲤᲔᲜᲘᲥᲡᲘᲡ“ (ᲓᲝᲜᲘᲡ-ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ) ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲓᲐᲜ.

ᲤᲣᲚᲖᲔ

ᲰᲔᲜᲠᲘ ᲤᲝᲠᲓᲘᲡ როგორც XX საუკუნის ერთ-ერთმა ყოვლის უფრო მსხვილმა მეწარმემ კარგად იცოდა, როგორ უნდა ფულის კეთება. მან დააარსა თავისი იმპერია და გზა გაუხსნა თანამედროვე ავტოწარმოებას. ამ კაცმა ფულის უჩვეულო ყადრი იცოდა და მთელი ცხოვრება სასესხებლად არ გახდომია საქმე. რასაც ის ფულსა და ფულის შოვნაზე ამბობდა, დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც თვით ავტომობილი „ფორდი“. ჰენრი ჭეშმარიტად ის კაცი იყო, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შეასხა ხორცი „ამერიკულ ოცნებას“.

* * *

თუ საქმიან კაცს ფული არ უჭირს, მხოლოდ მაშინ შეუძლია რამდენადმე უყოყმანოდ ფულის სესხება.

* * *

თავის გადასარჩენად ხალხის მხოლოდ თანდაყოლილი მიდრეკილება აძლევს ჩვენს ფულს იმის საშუალებას, რომ არცრა სერიოზული დანაკარგი არ განიცადოს ფინანსისტთა მაქინაციათაგან, რომელთა მიჩქმალვასაც ისინი საგანგებო რამ ტერმინებით ცდილობენ.

* * *

კაპიტალის მთავარი სარგებელი ის კი არ არის, რომ მეტი ფული ვიშოვოთ, არამედ ის არის, რომ ფული ცხოვრების გასაუმჯობესებლად ვაკეთოთ.

* * *

ᲤᲣᲚᲘᲡ სიხარბე ფულის მოუნაგრებლობის უებარი საშუალებაა. მაგრამ თუ სამსახურს ეწევი თვითონ სამსახურისთვის, კმაყოფილების გულისთვის, რომელი კმაყოფილებაც საქმის სიმართლის შეგნებას მოსდევს, მაშინ ფული თავისთავად ჩნდება უხვად.

* * *

ᲧᲕᲔᲚᲐ, მგონი, ფულისკენ მიმავალ უმოკლეს გზას ეძებდა და გვერდს უქცევდა იმ პირდაპირ გზას, რომელსაც შრომის გავლით მივყავართ ფულთან.

* * *

ᲙᲐᲪᲛᲐ რომ თქვას, ფულის შოვნის ჟინი ღრმად არის ჩანერგილი ადამიანში, და მარჯმა საფინანსო სისტემამ სულ უნდა ამოწმოს ადამიანის ბუნება და არა დამოკიდებული იყვეს ამ ბუნებაზე.

* * *

ᲤᲣᲚᲘ სულ იმას ესწრაფვის, რომ გახდეს ნივთი თავისთავად და ამდაგვარად, იმის მაგიერ, რათა უმეოხეოს, ხელი შეუწყოს წარმოებას, პირიქით, ხელს უშლის, აფერხებს.

* * *

ᲤᲣᲚᲘ არა ცვლის ადამიანს, უბრალოდ ნიღაბს ხდის. უკეთუ ადამიანი თავისთავად ეგოისტური ბუნებისა იყო, ან სულსწრაფი, ან წუწურაქი, ფული ეგრევე ამჟღავნებს, ნამდვილ სახეს უჩენს.

* * *

ᲤᲣᲚᲘᲡ ქონა სავსებით აუცილებელია. ოღონდ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ფულის მიზანი სულაც არ არის უსაქმურობა და მახათის ერთ ადგილას ყრა. პირიქით, ფულის მიზანი მეტი და მეტი საშუალების შექმნაა ადამიანთა მსახურებისთვის. ჩემი აზრით, უსაქმურ ცხოვრებაზე საზიზღარი რამ არცრაა ამქვეყანაზე. არც ერთს ჩვენგანს ამის უფლება არა გვაქვს, ცივილიზაციაში მუქთამჭამელთა ადგილი არ არის.

* * *

ᲩᲕᲔᲜ ძალიან ხშირად ვიშინებთ თავს იმ აზრით, რომ ცნებები „ცხოვრება“ და „ჩვენი ნამუშაკევი“ ერთმანეთის საწინააღმდეგოა. სინამდვილეში მანქანა, ფული და მთელი ქონება მხოლოდ იმიტომ არის სასარგებლო, რომ რაიმე მიზნის მისაღწევი საშუალებაა.

* * *

ᲠᲐᲦᲐ ფული და რაღა ხელი ან ფეხი, იმათი გამოყენებაც შეიძლება და დაკარგვაც.

* * *

ᲓᲐᲑᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ ჩვეულებამ სულ იოლია, რომ უაზრობამდე მიგვიყვანოს. ცხადია, გარკვეული მარაგის ქონა ფრიად სასურველია და ის კი არა, აუცილებელიც არის, მთავარია – მეტისმეტი არ მოგვივიდეს.

სხვა ამბებთან ერთად, ბავშვებს ფულის გადადებასაც რომ ვასწავლით, ამაში ცუდი არაფერია, პირიქით, კეთილგონივრულიც კია, როგორც რომ უსარგებლო ხარჯის წინააღმდეგ ბრძოლის ცდა. მაგრამ ფულის გადადების სწავლება დიდად არა ღირს, ვინაიდან ბავშვებს თვითგამოხატვისა და თვითუზრუნველყოფის საიმედო და სასარგებლო გზაზე არ აყენებს. ბევრად უკეთესია, რომ ბავშს ფულის სწორი ხარჯვა ვასწავლოთ, ვიდრე დაზოგვა, ხელის მოჭერა. ადამიანთა უმრავლესობა ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა თავის თავს, უკეთუ იმ რამდენიმე დოლარს, ხელმომჭირნეობით რომ აგროვებდა, ჯერ თვითონ გაასაქმისებდა, ხოლო მერე რომელიმე კარგ წამოწყებაში დაბანდებდა. საბოლოო ანგარიშით დანაზოგი გაეზრდება. ახალგაზრდებმა ფულის დაბანდება უნდა ისწავლონ და არა გადადება. იმათ მართებთ შრომით ნაშოვნი ფულის თავადვე გასაქმისება, რათა აიმაღლონ თავიანთი მნიშვნელოვნობა და სარგებლიანობა.

იმის შემდეგ, როგორც კი სასარგებლო საქმიანობის მწვერვალს მიაღწევენ, ის დროც დაუდგებათ, როცა შემოსავლის დიდი ნაწილი უნდა გადადონ მომავლის თავდებული (გარანტირებული) უზრუნველყოფის მიზნით.

თქვენ ნუ „გადადებთ“, უკეთუ საკუთარივე პროგრესისთვის წინააღმდეგობის გაწევას ცდილობთ. ამით საბოლოო კაპიტალს იმცირებთ და აუფასურებთ ბუნებისგან თქვენთვის ბოძებულ სიმდიდრეს. სარგებლობის პრინციპი ერთადერთი სწორი პრინციპია. საქმის გასარგებლიანობა სასიკეთო მუხტს შეიცავს, ეს სარგებელი ცხოველმყოფელია, თავისი არსით აქტიურია და ყოველივე კარგის თანხას ამრავლებს.

* * *

ᲗᲣ მიზანი თვალწინ არა გაქვს, ძალიან ადვილია საკუთარი თავის ფულით გადატვირთვა და მერე, განიადაგებული ძალისხმევით კიდევ უფრო მეტი ფულის მშოვნელს, სულ ადვილადვე გულიდან გადაგვარდება, საზოგადოება აუცილებლად იმით რომ უნდა მოგემარაგებინა, რისი მნდომელიც ის სინამდვილეშია.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ)

„ᲓᲠᲝᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲧᲙᲕᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ“



ᲐᲡᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲰᲔᲜᲠᲘ ᲤᲝᲠᲓᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲛᲝᲐᲔᲜᲐ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ



ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია: ა) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა და Joint Ore Reserves Committee (JORC) კოდექსის შესაბამისად შედგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა; ბ) შესწავლის პერიოდში ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, დახარჯოს არანაკლებ 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი; გ) ლიცენზიაში ცვლილების შეტანიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს დეტალური გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი, მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესწავლის სამუშაოების შესახებ, ხოლო დანარჩენ პერიოდზე (მომდევნო წლებში) ყოველი მომავალი წლის შესწავლის სამუშაოების დეტალური გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის წარდგენის ვადად განესაზღვროს წინა კალენდარული წლის 1 დეკემბერი. დეტალური საძიებო სამუშაოები (თანამედროვე მეთოდიკის და სტანდარტების შესაბამისად), საჭიროებისამებრ შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით და ამ შესწავლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობით, ამასთანავე ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, სამთო სამუშაოების დაწყებამდე შეადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამუშაოების განხორციელებისას მუდმივად უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი. დეტალური გეგმა-გრაფიკით წარმოდგენილი ვალდებულებები გახდება სალიცენზიო პირობა, რისი შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელისათვის. ამასთან, სალიცენზიო პირობების მონიტორინგის მიზნით, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შესწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში ყოველი 6 თვის ვადის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს აღნიშნულ პერიოდში შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში; აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულ დეტალურ გეგმა-გრაფიკში აღწერილი სამუშაოები სავალდებულოა შესასრულებლად. თითოეულ საბადოზე/მადანგამოვლინებაზე სამუშაოების შეუსრულებლობა უპირობოდ გახდება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი შესაბამისი საბადოსთვის/მადანგამოვლინებისთვის მთლიანი ფართობიდან ამ ტერიტორიის ამორიცხვის გზით; დ) შესწავლის პერიოდში უზრუნველყოს საქართველოს არანაკლებ 30 (ოცდაათი) მოქალაქის დასაქმება; ე) „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გასვლიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი აუდიტორული კომპანიის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს აღნიშნული ინვესტიციის განხორციელებას; ვ) შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ; ზ) მოპოვების სტადიაზე რესურსის მოპოვება განახორციელოს მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებით; თ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას; ი) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. კ) „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, განხილულ იქნება ლიცენზიის გაუქმების საფუძვლად. ლ) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან. მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ობიექტის შესწავლის პერიოდში ეროზირებული უბნების სიახლოვეს არ განახორციელოს ისეთი სახის სამთო სამუშაოების ჩატარება, რომელიც გამოიწვევს ეროზიული პროცესების პროვოცირებას; ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში. ო) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება. პ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელმა არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფა. ჟ) საბადოს ექსპლუატაციის პერიოდში ხელი არ შეუშალოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების გატარებას. რ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ლიცენზიის გამცემისათვის წარდგენისა და ლიცენზიაში ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება; ს) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ტ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით; უ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, „საქართველოს ტყის კოდექსით“, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხალას მიმდებარე ტერიტორიაზე, ხალასთავის ფერადი, კეთილშობილი და იშვიათი ლითონების (**ოქრო-სპილენძი**) შესწავლა-მოპოვება.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხალას მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	11 150 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 115 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	5 775 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 18 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 15 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 15 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 15 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №2

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge

4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია: ა) სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა განახორციელოს ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არა უმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში. არა უგვიანეს შესწავლის ვადის ამოწურვისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დასამტკიცებლად შესაბამის ორგანოში წარადგინოს მარაგების ანგარიში; ბ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) წლის ვადაში, მინერალური წყლის ჩამოსხმის მიზნით განახორციელოს არანაკლებ 10 მილიონი ლარის ინვესტიცია; გ) ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში უზრუნველყოს საქართველოს არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) მოქალაქის დასაქმება; დ) „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დასკვნა, რომელიც დაადასტურებს „ბ“ პუნქტით განსაზღვრული ინვესტიციის განხორციელებას; ე) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ლიცენზიის გამცემისათვის წარდგენისა და ლიცენზიაში ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება; ვ) მარაგების დამტკიცების შემდგომ დამტკიცებული მარაგების ფარგლებში აითვისოს საბადოს მთლიანი რესურსი; ზ) აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შედგენილობაზე;
		თ) უზრუნველყოს სანიტარული ზონების დაცვა; ი) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; კ) ექსპლუატაციის პერიოდში ჭაბურღილებიდან უნდა აღიკვეთოს წყლის არამიზნობრივი დაღვრა და დაცული იქნას სანიტარული ნორმები; ლ) მოპოვებული მიწისქვეშა მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; მ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; ო) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; პ) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ჟ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილების თავმორთულობის მოწყობა-მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. რ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს წყლის საბადოსა და წყლის ჩამომსხმელ საწარმოს შორის წყლის ტრანსპორტირება მხოლოდ მათი დამაკავშირებელი მილსადენის საშუალებით;
		ს) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის №2-03/13434 13.11.2018 წ. წერილით გათვალისწინებული მოთხოვნები; ტ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით; უ) მარაგების ანგარიშის და ათვისების გეგმის წარმოუდგენლობა, შესაძლებელია განხილულ იქნეს წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლად. ფ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზანავის მიმდებარე ტერიტორია, სასარგებლო წიაღისეულის **(მინერალური წყალი „ზანავი“)** შესწავლა-მოპოვება (ჭაბურღილები №39, №143 და №144).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზანავის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	1 000 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	100 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (20%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	200 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 18 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 15 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 15 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 15 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

პირველად კავკასიაში, ჯიხვების GPS კვლევა დაიწყო

ᲒᲣᲨᲘᲜ, ლაგოდეხის აღკვეთილში სახეობათა კონსერვაციის ცენტრ „NACRES“-ის მიერ GPS საყელურით პირველი აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი მონიშნეს.

პროექტი: „ჯიხვის ტელეომეტრიული მონიტორინ-

გი ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე“ 2018 წელს დაიწყო. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საყელურით 6 ჯიხვის აღჭურვა. საყელურს 2 წლის სამუშაო რესურსი გააჩნია და ინფორმაციას სატელიტური თანამგზავრების მეშვეობით გადმოსცემს.

„ჯიხვის ტელეომეტრიული კვლევა დაგვეხმარება, შევისწავლოთ, დავაკვირდეთ და მოვაგროვოთ ჯიხვის პოპულაციისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია: ჯიხვის ჰაბიტატის გამოყენების ასპექტები, ინდივიდუალური ტერიტორიის ზომა, დღე-ღამური და სეზონური გადაადგილებისა და მიგრაციის თავისებურება. ტელემეტრიულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია პოპულაციის რიცხოვნობის, დინამიკის დადგენა, პოპულაციაზე მოქმედი საფრთხეების შეფასება. ტელემეტრია ასევე დაგვეხმარება შევაფასოთ ტურიზმისა და ძოვების ზეგავლენა ჯიხვის პოპულაციაზე. მოპოვებული მონაცემების ანალიზის შედეგად გაუმჯობესდება ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვა“, – განაცხადა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორმა გიორგი სულამანიძემ.

პროექტს ფინანსური მხარდამჭერია კავკასიის ბუნების ფონდი (CNF) და ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნო სამხრეთ კავკასიაში (TJS), ხოლო განხორციელებაში ჩართულია სახეობათა კონსერვაციის ცენტრი „ნაკრესი“ და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია.

საქართველოში დარჩენა სულ უფრო მეტ უცხოელს უნდა!

ᲨᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ მიგრაციის დეპარტამენტის სტატისტიკის თანახმად, ბოლო 8 წლის განმავლობაში თითქმის 17-ჯერ გაიზარდა (საერთაშორისო დაცვის მიზნით) საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ პირთა რაოდენობა.

- 2010 ᲬᲔᲚᲘ – 57 ᲞᲘᲠᲘ;
- 2011 ᲬᲔᲚᲘ – 79 ᲞᲘᲠᲘ;
- 2012 ᲬᲔᲚᲘ – 599 ᲞᲘᲠᲘ;
- 2013 ᲬᲔᲚᲘ – 719 ᲞᲘᲠᲘ;
- 2014 ᲬᲔᲚᲘ – 1792 ᲞᲘᲠᲘ;
- 2015 ᲬᲔᲚᲘ – 1449 ᲞᲘᲠᲘ;
- 2016 ᲬᲔᲚᲘ – 947 ᲞᲘᲠᲘ;
- 2017 ᲬᲔᲚᲘ – 951 ᲞᲘᲠᲘ;
- 2018 წელი – 959 პირი.

რადიო „თავისუფლებამ“ შს სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებისთვის მიმართა თებერვალში, თავშესაფრის მაძიებელ ირანელთა პრობლემებზე მუშაობის პროცესში. მიღებული პასუხების თანახმად, 2019 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებული იყო 721 თავშესაფრის მაძიებელი პირი, მათ შორის – ირანის 227 მოქალაქე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2019 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში საერთაშორისო დაცვით სარგებლობდა 1 127 პირი, მათ შორის – ირანის 34 მოქალაქე.

საერთაშორისო დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საერთაშორისო დაცვის მქონე პირად ითვლება: ლტოლვილი, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირი.

◎ კრივი

პლუს სამი!

უკვე ვწერდით, რომ ვლადიკავკაზში მიმდინარე 22-წლამდელ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი გაინაღდა ანა ხუნჯუამ (54 კგ).

სიამოვნებით გაუწყებთ, რომ ნახევარფინალში კიდევ სამი ჩვენი თანამემამულე გავიდა – ნოდარ დარბაიძე (52 კგ), არტუშ გომციანი (56 კგ) და ნიკოლოზ ბეგაძე (91 კგ), რაც პლუს სამი ჯილდოა.

ბეჟან დოლიძე

◎ სუმო

შანსი არ დაუტოვა

ტოჩინოშინის შიკონათი ცნობილმა ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ იაპონიის ქალაქ ოსაკაში მიმდინარე საგაზაფხულო სუპერტურნირის მე-5 დღეს მე-3 გამარჯვება იზეიმა და დადებითი ბალანსი (კაჩი-კოში) დაიბრუნა.

ქართველი სეკიტორი, რომელიც ჰარუ ბაშოს აღმოსავლეთის მე-2 ოძეკის წოდებით შეხვდა, გუშინ აღმოსავლეთის ბრაზილიელ პირველ მაეგაშირა კაისეის გაეჯიბრა და დამაჯერებლად სძლია, ეს კი მისი თვითრწმენისთვის მნიშვნელოვანი იყო.

შეგახსენებთ, რომ ტოჩინოშინი მარტის ბაშოს კადობანში შეხვდა და ოძეკის პრესტიჟული ტიტულის შესანარჩუნებლად უცილობლად კაჩი-კოშის დაფიქსირება მართებს, ამდენად, ჩვენებურისთვის ყველა მოგებას ოქროს ფასი აქვს. როგორც აღვნიშნეთ, კაისეისთან ჭიდილმა ძველი ტოჩინოშინი გაგვახსენა. ქართველმა გოლიათმა ბრაზილიელთან სასურველი დგომი დააფიქსირა, მეტოქის მავაში ორივე ხელით დაიჭირა და იორიკირით მისი დოჰიოდან გაყვანა არ გასჭირვებია.

დღეს ლევანი ჰარუ ბაშოზე მე-6 ორთაბრძოლას ჩაატარებს, მისი მეტოქე კი აღმოსავლეთის პირველი კომუსუბი, გასული წლის ივლისის სუპერტურნირის ჩემპიონი მიტაკეუმი იქნება, რომელსაც ოსაკაში ჩვენებურის იდენტური ბალანსი გააჩნია. გასულ 9 შერკინებაში ტოჩინოშინს იაპონელი 6-ჯერ ჰყავს დამარცხებული.

ამასობაში, ოთხამდე დავიდა იმ სუმოისტთა რიცხვი, რომელთაც მარტის სუპერტურნირზე ყველა ორთაბრძოლა მოგებული აქვთ. გუშინ მიჯრით მე-5 მოგებები მიითვალეს იოკოძუნა ჰაკუჰომ, ოძეკი გოეიდომ და რიგითმა მაეგაშირებმა – იჩინოჯომ და კოტოშოგიკუმ. სამწუხაროდ, ისევ უარყოფით ბალანსზე (მაკე-კოში) გავიდა თეიმურაზ ჯუღელი, იგივე გაგამარუ, რომელიც რანგით მე-2 დივიზიონ ჯურიოში აღმოსავლეთის მე-8 ნომრის წოდებით ირჯება.

ქართველმა გოლიათმა აღმოსავლეთისვე მე-9 რეიტინგოსან კიოკუტაისეისთან ჰიკიოტოშით წააგო, დღეს კი დასავლეთის მე-5 ნომერ დაიშომარუსთან ჭიდილი უწევს, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში 4:2-ს უგებს.

კობა კობახიძე

◎ ძალოსნობა

„ოქროს“ მალე იქნება

ლას-ვეგასში მიმდინარე ახალგაზრდა ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთბაშად სამი ვერცხლის მედალი მოიპოვა 102 კილოში მოასპარეზე ლაშა თაქთაქიშვილმა (ატაცი, აკვრა, ორჭიდი).

შეგახსენებთ, რომ სტარტზე ასევე ვერცხლის ჯილდოები შესძინა საქართველოს დელეგაციას გურამ გორბელიძემ (67 კგ., აკვრა, ორჭიდი).

ბადრი იაშვილი

◎ ჭადრაკი

დასანანი ფრე

საქართველოს ქალთა ნაკრებმა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ბოლოსწინა, მე-8 ტურში მნიშვნელოვანი ქულა დაკარგა და საპრიზო სამეულის დატოვება მოუხდა.

ჩვენმა მოჭადრაკეებმა ყაიმი სომხეთთან გააფორმეს, რომელიც „ჯვაროსანთათვის“ ყოველთვის უხერხული მეტოქე იყო და ამჯერადაც ძალიან გვაზარალა. პირველ დაფაზე დასანანი მარცხი განიცადა ბელა ხოტენაშვილმა, ლელა ჯავახიშვილმა და ნინო ბაციაშვილმა ყაიმით ითამაშეს, სალომე მელიამ კი გამარჯვება იზეიმა.



შედეგად, საქართველოს ნაკრებმა 11 ქულით მე-4 ადგილზე გადაინაცვლა. 16 ქულით ჩემპიონობა უკვე გაიფორმა ჩინეთმა, მეორეზე რუსეთია (13), მესამეზე კი – უკრაინა (12).

დასკვნით ტურში „ჯვაროსნები“ რუსეთს გაეჯიბრებიან და საპრიზო სამეულში დაბრუნებისთვის იბრძოლებენ. მნიშვნელოვანი იქნება ჩინეთისა და უკრაინის დაპირისპირებაც.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

გაუმარჯოს პრემიერლიგას!

დღეს 15 საათზე უეფას შტაბ-ბინაში დაიწყება პოპულარული ევროტურნირების მეოთხედფინალური რაუნდის წილისყრა. ბუნებრივია, გარკვეულ ინტერესს რანგით მეორე – ევროპალიგის მოწინავე ოქტეტის მომავალი ბატალიებიც იწვევს, მაგრამ, დაგვეთანხმებით, გულშემატკივართა დიდი არმიის განსაკუთრებული ყურადღება ჩემპიონთა ლიგის ელიტისკენაა მიპყრობილი. მოდით, ჩვენც ძლიერთა ამა ქვეყნისათა სასტარტო პლეი-ოფებს შევაწოთ ორიოდე სიტყვა.

სამშაბათსა და ოთხშაბათს გამართულმა საპასუხო შეხვედრებმა თანამედროვეობის გამორჩეულ სოლისტთა – რონალდუსა (ჰეთ-თრიქი) და მესის (დუბლი და ორი შედეგიანი გადაცემა) მორიგი სპექტაკლების ფონზე ჩაიარა, თუმცა, ნურც პრემიერლიგის წარმომადგენელთა დომინაციაზე დავხუჭავთ თვალს – რჩეულთა შორის ხომ ზუსტად ნახევარი ინგლისური გრანდია („მანჩესტერი“, „ტოტენჰემი“, „სიტი“ და „ლივერპული“).

ბრიტანელთა ასეთი პროგრესისგან განსხვავებით, თვალსაჩინოა ბუნდესლიგის ბინადართა კრიზისი – ბრძოლას ერთბაშად სამი გერმანული კლუბი გამოეთიშა („დორტმუნდი“, „შალკე“ და „ბაიერნი“).

რადგან ზემოთ რონალდუ ვახსენეთ, დავძენთ, რომ მისმა ახალმა ნავსაყუდელმა ჩინებული სარევანშო სანახაობა კი შემოგვთავაზა, მაგრამ ტრავმირებული კუადრადოსა და ალექს სანდროს არყოფნაში საწადელს პრიმიტიული ჩაწოდებებით მიაღწია – „იუვენტუსის“ ბედი, რომ მისი პორტუგალიელი „ჯილა“ ჰაერშიც ბატონობს.

რაც შეეხება „ატლეტიკოს“, მას კიდევ ერთი წლით მოუწევს ჩემპიონთა ალიგის მოგებაზე ოცნების გადავადება. არადა, მოგეხსენებათ, ფინალური შეხვედრა სწორედ ათლეტთა მშობლიურ სტადიონზეა დანიშნული.

და ბოლოს, ფეხბურთის სამშობლოს კვარტეტის შესაძლო მეტოქეთა ვინაობასაც გავეცნოთ: „აიაქსი“, „პორტუ“, „იუვენტუსი“ და „ბარსელონა“.

გიორგი შოთაძე

◎ გახმაურებული საქმე

პროვოკაციის სუნი ასდის

„ნაგლიაშვილი დაზარალებულის მხოლოდ უსაფუძვლო შეტყობინების საფუძველზეა დაკავებული. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ საქმეში არ არსებობს მუქარის შემცველი შეტყობინება“, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ოჯახური ძალადობის ბრალდებით დაკავებული ძიუდოს ეროვნული ნაკრების წევრის, 22 წლის თორნიკე ნაგლიაშვილის ადვოკატმა ნანი აბრამიშვილმა განუცხადა.

ის ნაგლიაშვილის მხრიდან მეუღლეზე ფიზიკური ძალადობის ფაქტს კატეგორიულად გამორიცხავს.

როგორც ადვოკატი განმარტავს, ნაგლიაშვილს გვანცა ფანგანის მიმართ შემაკავებელი ორდერი სექტემბერში ჰქონდა გამოწერილი და მოქმედების ვადა ერთი თვის განმავლობაში ჰქონდა.

„თორნიკე ნაგლიაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა. ის ამჟამად მოთავსებულია მე-8 დაწესებულებაში. აღკვეთის ღონისძიება გასაჩივრებულია საapელაციო სასამართლოში. ჩემი ინფორმაციით, ამ წუთისათვის ის განხილული არ არის და ბრალი, რომელიც მას აქვს წარდგენილი, ითვალისწინებს პატიმრობას ერთ წლამდე ვადით.

ბრალდებული თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და საქმეში ამ ეტაპისათვის არ არსებობს ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

შემაკავებელი ორდერი სექტემბერში ჰქონდა გამოწერილი, რომელსაც მოქმედების ვადა 30 დღე ჰქონდა, თორნიკე ნაგლიაშვილი კი დააკავეს 2019 წლის მარტში. შემაკავებელ ორდერს არანაირი გავლენა არ მოუხდენია მის დაკავებაზე. თუკი გამოძიებას მიაჩნდა, რომ თორნიკე ნაგლიაშვილმა გასულ წელს მუქარის შემცველი შეტყობინება გაუგზავნა ყოფილ მეუღლეს, სექტემბერსა და ოქტომბერში შეეძლოთ ემსჯელათ მის ბრალდებაზე“, – აცხადებს აბრამიშვილი.



მისივე განმარტებით, საქმეში მხოლოდ სპორტსმენის ყოფილი ცოლის განცხადება არსებობს, სადაც ის მეუღლის მხრიდან მუქარაზე საუბრობს.

„დაკავების საფუძველი გახლდათ 4 მარტის შეტყობინება, სადაც თორნიკე ნაგლიაშვილის ყოფილმა ცოლმა განაცხადა, რომ მეუღლე ემუქრებოდა და მცხეთიდან მისი მიმართულებით მიდიოდა, რაც სიმართლე არ აღმოჩნდა. ნაგლიაშვილი საცხოვრებელ სახლში, მცხეთაში დააკავეს.

მტკიცებულებები, რომელიც ბრალდებას საფუძვლად დაედო, საქმეში არ არსებობს.

საქმეში არ მოიპოვება ისეთი შეტყობინება, რომელიც მოიცავს დანაშაულის ნიშნებს. დანაშაულებრივი ქმედება მხოლოდ მუქარისგან არ შედგება, ის უამრავი ქმედებისგან შედგება. ქმედება, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, საქმეში არ არის.

ნაგლიაშვილი დაზარალებულის მხოლოდ უსაფუძვლო შეტყობინების საფუძველზეა დაკავებული. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ საქმეში არ არსებობს მუქარის შემცველი შეტყობინება.

ფიზიკურ ძალადობასთან დაკავშირებით მის მიმართ შემაკავებელი ორდერი არ გამოწერილა. ის ფიზიკურ ძალადობაში არაა ბრალდებული“, – აცხადებს აბრამიშვილი.

შეგახსენებთ, რომ თორნიკე ნაგლიაშვილი ყოფილი მეუღლისთვის გაგზავნილ მუქარის შემცველ მოკლე ტექსტურ შეტყობინებასთან დაკავშირებით დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 151-ე მუხლით და 126 პრიმა მუხლით მიმდინარეობს, რაც პასუხისმგებლობას ოჯახური დანაშაულისთვის, მუქარასა და ოჯახში ძალადობას გულისხმობს.

მანუჩარ გიორგაძე

ARDAVIWYEBA

ვისსენებთ პლატონ არშბას

პლატონ არშბა დაიბადა 1915 წლის 1 იანვარს ტყვარჩელში. იქვე დაამთავრა სკოლა და 1937 წელს მუშაობა დაიწყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში. 1939 წლის დეკემბერში უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს.

1947-1953 წლებში ბატონი პლატონი იყო აფხაზეთის უშიშროების სამინისტროს განყოფილების უფროსი. 1953 წლის აგვისტოდან 1968 წლის სექტემბრამდე მუშაობდა აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრად. ეს პერიოდი აფხაზეთში, ისევე, როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, იყო პოლიტიკურად მეტად რთული და დაძაბული, ი. სტალინის გარდაცვალებასთან და შემდგომ მისი პიროვნების კულტის კრიტიკასთან დაკავშირებული.

საჭირო გახდა შინაგან საქმეთა ორგანოების კადრების საფუძვლიანი გადახალისება, პირად შემადგენლობასა თუ მოსახლეობაში იდეოლოგიური და ოპერატიულ-სამძებრო მუშაობის ძირეული გარდაქმნა.

პარტიის საოლქო კომიტეტის ინიციატივით შეცვალეს მილიციის ორგანოების ხელმძღვანელები სოხუმში, გაგრაში, გუდაუთაში, ოჩამჩირეში, გულრიფში, გალსა და ტყვარჩელში.

აუცილებელი იყო მოთარეშე კრიმინალური ელემენტების ალაგმვა.

ყველა ამ პრობლემას პლატონ არშბამ და მისმა თანამოაზრეებმა წარმატებით გაართვეს თავი.

1967 წელს იგი სამუშაოდ თბილისში გადმოიყვანეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის მოადგილედ დანიშნეს.

1969 წელს პლატონ არშბას მიანიჭეს მილიციის მესამე რანგის კომისრის წოდება (პოლიციის გენერალი), ხოლო 1970 წელს კანონმდებლობის შეცვლასთან დაკავშირებით იგი შინაგან საქმეთა სამსახურის გენერალ-მაიორი გახდა.

ახალ სამუშაო ადგილზე გენერალი პლატონ არშბა ჩვეული ენერგიით შეუდგა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, კერძოდ, ამ დაწესებულებებში კანონიერების მოთხოვნათა შესაბამისად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

პლატონ არშბამ შემოიკრიბა ახალგაზრდა, ინიციატივიანი მუშაკები ანდრო გოგუა, ვლადიმერ ჯოპუა, აპოლონ კვიცინია, ალიოშა კვიცინია, მიხეილ ბერულავა, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მართლწესრიგისა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების განმტკიცებაში.

1977 წელს ბატონი პლატონი ოჯახთან ერთად დაბრუნდა სოხუმში, სადაც ცხოვრობდა სიცოცხლის ბოლომდე, იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა გულრიფშის რაიონის აგუძერას დასასვენებელი სახლის დირექტორად და აფხაზეთის ავტომოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარედ.

ბატონი პლატონი იყო გამოცდილი, ოპერატიული, საქმის ღრმა მცოდნე ობიექტური პიროვნება. მთელი სიცოცხლის განმავლობაში იღვწოდა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებში მოსულიყო ღირსეული თაობა, ამ მიზნით მან ბევრი ახალგაზრდა მუშაკი აღზარდა, რომელთა ნაწილი დღესაც წარმატებით განაგრძობს მუშაობას შსს ორგანოებში, სათუთად ინახავს აღმზრდელისა და მასწავლებლის ნათელ ხსოვნას.

1953 წლიდან აფხაზმა სეპარატისტებმა აშკარად დაიწყეს ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა, კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ ყველა ქართველს დაეტოვებინა აფხაზეთი, ბატონი პლატონი ყოველმხრივ ცდილობდა აფხაზებისა და ქართველების შერიგებას. არწმუნებდა მათ, რომ აფხაზები და ქართველები ოდითგანვე იყვნენ ძმები, რომ მათ მომავალშიც უნდა ეცხოვრათ ერთად.

ბატონ პლატონს მუშაობის პერიოდში მიღებული ჰქონდა სამსახურებრივი და სახელმწიფოს ათობით ჯილდო, მათ შორის, წითელი ვარსკვლავის ორდენი.

1991 წელს ბატონი არშბა გარდაიცვალა და მეუღლესთან — ტატიანა გეგეჭკორთან ერთად დაკრძალულია სოხუმში.

მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა შენთვის, ბატონო პლატონ!

შინაგან საქმეთა სამინისტროს
დამსახურებული მუშაკები
გურამ გვეტაძე,
გენერალ-ლეიტენანტი;
ლუარსაბ გაბუნია, პოლკოვნიკი;
კონსტანტინე სიჭინავა,
პოლკოვნიკი;
არჩილ ანთელავა, პოლკოვნიკი.

აფხაზური დამწყებთათვის

აფხაზეთის მთავრობამ გამოსცა წიგნი „აფხაზური ენა დამწყებთათვის“. ამ წიგნის მეშვეობით მსურველს აფხაზური ენის შესწავლა შეეძლება.

წიგნის პრეზენტაცია 13 მარტს ბათუმის წიგნის სახლში შედგა. გამოცემა, რომლის ტირაჟი 800 ერთეულია, თავდაპირველად აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს დაურიგდებათ, შემდეგ საქართველოს იმ სკოლებს, სადაც აფხაზურ ენას ასწავლიან. ასევე, წიგნები გადაეცემათ გალში მცხოვრებ ქართველებსაც.

კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთის ტერიტორიაზე ორი სახელმწიფო ენაა: ქართული და აფხაზური, რაც საქართველოს მთავრობას აფხაზურ ენაზე ზრუნვას ავალდებულებს. **„ამასთან, ენის ცოდნა ერთ-ერთი საშუალებაა იმისთვის, რომ ადამიანებმა უფრო იოლად იპოვონ ერთმანეთთან მისასვლელი გზები“,** — ამბობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი მანანა ქვაჩახია. მისივე თქმით, აფხაზები მსგავს პროექტებზე ღიად არაფერს ამბობენ, მაგრამ მაინც სიამოვნებთ. წიგნი ანბანის გაცნობით იწყება, შემდეგ მოდის გაკვეთილები. ყველა გაკვეთილს ლექსიკონი ახლავს. აფხაზურ ენაში ქართულთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტი ბგერაა — 64. ბევრად ნაკლებია ასოები, ამიტომ ზოგიერთი ბგერის გამოსახატად ასოების კომბინაციის გამოყენება ხდება საჭირო.

მაინც რა არის აფხაზური ენის შესწავლისას ყველაზე რთული? „იმ ბგერების გამოთქმა, რომელიც არც ქართულში გვხვდება და არც ევროპულ ენებში. ასევე, სირთულეს ქმნის ზოგიერთი სიტყვის აგებულება, ფორმის ცვლილება. მაგრამ ეს არ არის დაუძლეველი. გრამატიკას ამ წიგნში საერთოდ არ ვეხებით. წიგნი დამწყებთათვის არის განკუთვნილი“, — ამბობს გამოცემის ერთ-ერთი ავტორი, აფხაზოლოგი **თემურ გვანცალაძე**.

წიგნი არის ფერადი და ილუსტრირებული, რათა ის პატარა ბავშვებისთვისაც საინტერესო და ხელმისაწვდომი იყოს.

www.radiotavisupleba.ge

„მასწავლებლის გლობალური ჯილდოს“ ფინალისტი სტიპენდიატებს ხვდება

2019 წლის „მასწავლებლის გლობალური ჯილდოს“ ფინალისტი, სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ლადო აფხაზავა თიბისის სტიპენდიატებს შეხვდა და ლექცია ჩაუტარა. შეხვედრა 2 ქალაქში ჩატარდა — დედაქალაქში თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების სტიპენდიატები შეიკრიბნენ, ქუთაისში კი — სტიპენდიატები დასავლეთ საქართველოდან.

განათლების მნიშვნელობა, სამოქალაქო თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის საკითხები ლადო აფხაზავამ მოზარდებს საკუთარ მოსწავლეებთან ურთიერთობის მაგალითებითა და ინტერაქციული დავალებებით გაუზიარა.

„თიბისის სტიპენდიატები“ თიბისის 2019 წლის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სოციალური პასუხისმგებლობის პროექტია. 200-მა სტიპენდიატმა პირველი სტიპენდია უკვე აიღო და მთელი წლის განმავლობაში ყოველთვიურად მიიღებს.

2018 წლის ბოლოს სხვადასხვა ორგანიზაციასთან, სკოლასთან თუ კერძო პირთან ერთად თიბისიმ ისეთი ნიჭიერი ბავშვების მოძებნა დაიწყო, რომლებსაც განვითარებისათვის ფინანსური ხელშეწყობა ყველაზე მეტად სჭირდებათ. პროექტმა მოიცვა ყველა სფერო და მთელი საქართველო: ჭუბერი, გორი, წნორი, წეროვანი, ხონი, თბილისი, თელავი, ლექოკი, ბარისახო, უწერა, არახვეთი, ქუთაისი, კარალეთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ბათუმი, ხონი, ამბროლაური, სენაკი, პატარძეული — საქართველოს მთასა და ბარში თიბისიმ პატარა გამომგონებლები, მათემატიკოსები, მოცეკვავეები, მხატვრები, მუსიკოსები, სპორტსმენები იპოვა. სტიპენდიატების პროექტის ფარგლებში სტიპენდიატები თიბისის ინიციატივით სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო აქტივობებში მთელი წლის განმავლობაში იქნებიან ჩართული. დაიგეგმება ახალგაზრდების ინტერესებზე მორგებული ისეთი ლექციები, შეხვედრები და ღონისძიებები, რომელთა მიზანიც სტიპენდიატი ბავშვების ცოდნისა და გამოცდილების განვითარება იქნება.

ირაკლი კვარაცხელიამ თავი საკუთარი მაისურით ჩამოიხრჩო?!

აფხაზეთის **საოკუპაციო რეჟიმის ე.წ სასაზღვრო სამსახურის ცნობით ირაკლი კვარაცხელიამ თავი საკუთარი მაისურით ჩამოიხრჩო.** დე ფაქტო უწყებამ ამის შესახებ ინფორმაცია რადიო თავისუფლების რუსულენოვანი პროგრამას „ეხო

კავკაზას“ მიაწოდეს. **„მოთხოვნისას წარმოადგინა დოკუმენტები. არც მისი და არც მესაზღვრეების მხრიდან წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. მისთვის ხელბორკილებიც კი არ დაუდიათ. მიიყვანეს საგუშაგოზე და მოათავსეს დაკავების ოთახში, რომელსაც გისოსებიც კი არ ჰქონდა.“**

დე ფაქტო უწყების ინფორმაციით, გარკვეული დროს შემდეგ ოთახში შესულ მესაზღვრეებს ირაკლი კვარაცხელია უსიცოცხლო მდგომარეობაში დახვდათ, მან თავი საკუთარი მაისურით ჩამოიხრჩო. **„გამოიძახეს სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომელიც სოფელ ნაბაკევში მორიგეობს, ამიტომაც ბრიგადა ძალიან ოპერატიულად გამოცხადაა. სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მისვლამდე, საგუშაგოს თანამშრომლები კვარაცხელიასთვის დახმარების აღმოჩენას და მის რეანიმირებას ცდილობდნენ. მათ მალე ექიმებმაც მიუსწრეს, თუმცა ახალგაზრდა კაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა“.**

დე ფაქტო უწყების ინფორმაციით, სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის ექიმებმა მისი გარდაცვალება დაადგინეს. მათ დაათვალიერეს გარდაცვლილის სხეული და გარდაცვალების მიზეზად გაგუდვა დაასახელეს. მათივე ცნობით, გვამს ფიზიკური დაზიანებები არ აღენიშნებოდა.

სართიჭალაში საწვავით დატვირთულ ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა

სართიჭალაში, გომბორის საგუშაგოსთან ცეცხლი საწვავით დატვირთულ ავტომანქანას გაუჩნდა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ფორდ ტრანზიტის მარკის ავტომანქანა 1200 ლიტრი დიზელის საწვავით იყო დატვირთული.

მათივე ცნობით, მეხანძრე-მაშველების დროული რეაგირების შედეგად ავტომანქანა აფეთქებას გადაურჩა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ხანძარი ლიკვიდირებულია.

თვალებს დაცვა უნდა

ფოიერვერკებზე დაკვირვება საჭიროა შორი მანძილიდან ან დამცავი სათვალით, რადგან პიროტექნიკურ საშუალებათა ნამსხვრევებმა შეიძლება თვალის რქოვანაზე ნაკაწრები დატოვოს, რომლებიც მოგვიანებით თვალისჩინის დაკარგვას იწვევს.

ყოველწლიურად მსოფლიოში დაახლოებით 20 ათასზე მეტი მსგავსი უბედური შემთხვევა დგინდება. უშუალოდ ფოიერვერკის ქვეშ ყოფნისას კი აუცილებელია თვალების სათვალით დაცვა.

ქალური ალღო

ჰოლანდიელ მკვლევართა დაკვირვებით, ქალები საჩუქრებს მამაკაცებზე უკეთესად არჩევენ. ფსიქოლოგებმა ორი ექსპერიმენტი ჩაატარეს. პირველში ორივე სქესის წარმომადგენლებს შესთავაზეს საჩუქრის შერჩევა ახლობლისთვის, მეორეში კი უცნობისთვის. ორივე შემთხვევაში გამოსაცდელებს საჩუქრების სია მისცეს. ასეთივე სია მისცეს საჩუქრის მიმღებებსაც, სადაც მათ უნდა აღენიშნათ, თუ რის მიღებას უფრო ისურვებდნენ. შემდეგ კი, სიები ერთმანეთს შეადარეს.

აღმოჩნდა, რომ როცა საქმე ახლობელ მამრობით სქესს ეხებოდა, მამაკაცები ათიდან ხუთ შემთხვევაში სწორედ „არტყამდნენ“, ქალები კი — ექვსჯერ, ხოლო, რაც შეეხება უცნობებს, აქ ქალების უპირატესობა კიდევ უფრო მეტად იყო თვალშისაცემი.

ყავას ხომ არ ინებებთ?

თურმე, სადილობის დრო საუკეთესო პერიოდია ფინჯანი ყავის მისართმევად.

მკვლევარებმა დაადასტურეს მტკიცების მცდარობა, თითქოს ყავა დილის სასმელია. აღმოჩნდა, რომ ადამიანის ორგანიზმი კოფეინს ყველაზე მეტად 14 საათის შემდეგ საჭიროებს, როცა ყურადღების კონცენტრაცია და გონებრივი აქტივობა იკლებს. აღმოჩნდა, რომ ფინჯანი შაქრიანი ყავა ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს ააქტიურებს.

ნუ გერიდებათ, საყვარელო „ფუნთუშებო“!

ჭარბწონიანი გოგონები თავიანთ ჩხინკორა თანატოლებზე უარესად სწავლობენ. მეცნიერთა გამოკვლევით დადგინდა, რომ მსუქანი გოგონები ცუდ ნიშნებს თავიანთ ტანწერწეტა თანატოლებთან შედარებით 30 პროცენტით უფრო ხშირად იღებენ.

ყოველივე ეს იმით აიხსნება, რომ დაფასთან დგომის დროს ისინი თავს უხერხულად გრძნობენ და ცუდად პასუხობენ იმ შემთხვევაშიც კი, როცა გაკვეთილი კარგად აქვთ მომზადებული. არადა, უნდა აღინიშნოს, რომ ჭარბი წონა ბიჭების სწავლების მოსწრებაზე არანაირად არ მოქმედებს.

გალკინმა ფილიპ კირკოროვის მკვლელობა შეუკვეთა?

13 მარტს რუსმა ტელეწამყვანმა მაქსიმ გალკინმა თავის ინსტაგრამზე ვიდეომიმართვა გამოაქვეყნა, რომელშიც ISIS-ის წევრის მიერ ტერაქტთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა. დაჯგუფების წევრმა ხიდირნებ კაზუევმა, რომელიც 2017 წელს კირკოროვის კონცერტზე ტერაქტის მოწყობას გეგმავდა, 4 მარტს სასამართლოზე განაცხადა, რომ კირკოროვის მკვლელობა მაქსიმ გალკინმა 2 მილიონ რუბლად შეუკვეთა. ამის შესახებ ინფორმაცია მისმა ადვოკატმა გაავრცელა.

თავის ვიდეომიმართვაში გალკინმა გავრცელებული ამბავი „საგაზაფხულო გამწვავებად“ შეაფასა და მედიას მოუწოდა „არ შეეწუხებინათ ფილიპი“, რადგან „ის ძალიან ნაწყენია, რომ ასეთი იაფფასიანია“, გალკინს მხედველობაში „კირკოროვის მკვლელობის“ შეკვეთის საფასური ჰქონდა.

შეგახსენებთ, 2017 წლის ოქტომბერში რუსეთში ISIS-ის რამდენიმე წევრი დააკავეს, რომელთაც ბრალი ედებოდა მახაჩყალაში კირკოროვის კონცერტის დროს ტერაქტის მომზადება. მათ შორის იყო ხიდირნებ კაზუევიც. 4 მარტს მას და საქმის სხვა ფიგურანტებს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით წაუყენეს.

16 წლის მოსწავლე ნობელის პრემიაზე წარადგინეს

სკანდინავიელმა პოლიტიკოსებმა 16 წლის შვედი მოსწავლე გრეტა ტურნბერგი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წარადგინეს გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილი წვლილისთვის. ამის შესახებ გამოცემა Aftonbladet-ი იუწყება. „ძალიან საპატიო და სასიამოვნოა, ამ მნიშვნელოვან პრემიაზე ნომირირება. ეს დაუჯერებლი და უცნაურია“, - განუცხადა გრეტამ გამოცემას.

აღნიშნული ინიციატივით გამოვიდნენ შვედი და ნორვეგიელი დეპუტატები. შვედმა მოსწავლემ მედიის ყურადღება 2018 წლის აგვისტოში მიიქცია, როდესაც სტოკჰოლმში პარლამენტის წინა აქცია გამართა. მან განაცხადა, რომ გაკვეთილებს მანამდე არ დაესწრებოდა, ვიდრე შვედი პოლიტიკოსები არ დაიწყებდნენ პარიზის შეთანხმების შესრულებას მავნე ნარჩენების გადაყრის შეწყვეტის შესახებ. გრეტა ტურნბერგი მიიწვიეს კლიმატის შესახებ გაეროს კონფერენციასა და დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე. მან ათასობით ევროპელ მოსწავლეს უბიძგა, მიებაძათ მისი მაგალითისთვის და ქუჩებში გამოსულიყვნენ კლიმატის ცვლილებების პრობლემისადმი ყურადღების მისაქცევად.

დახმარების მსურველთა საყურადღებოდ!

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6872; ევრო - 3.0349;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5331
100 რუბლი - 4.0852; თურქული ლირა - 0.4926;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5805;
1000 სომხური დრამი - 5.5156.

ამინდი 15 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5, დღე +15
მთიანი რაიონები - ღამე +1, დღე +15
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +4, დღე +22
მთიანი რაიონები - ღამე +2, დღე +18
თბილისი: ღამე +8, დღე +13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge